

კარი ერთოსელი

კოლეგი  
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 13

2020



მთ. რედაქტორი

**ოთარ პორფილია**

ისტორის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-820-5 (13 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არმიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მეცნიერის, ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-  
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-  
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-  
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი  
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის  
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,  
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი  
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი  
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-  
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი  
(შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავ და... დღეს ძვეშის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეჭმა ოქროს სამზისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრული ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდებლი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვეშის, არც ერთი კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ძვეშის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივან შეხვდი მოგელ ქაბას, მოგელ  
კაბებას.“

ა. პუშკინი

შინასიტყვაობის მაგივრ  
(დასასრული)

გადარჩენის საწინდრად ესახება სიყვარული, რწმენა, სიბრძნე: „სიყვარულით გადახურული ჩვენს კარავთან, ჩამოდგება სანამ ბინდი და ჩვენს ოვალებს სანამ ღამე მონისლავს, მანამ ქარი გადაგარჩენს სულიწმინდის, სიბრძნე სოლომონისა“ (სიყვარულით გადახურულ ჩვენს კარავთან).

წარსულიდან მომავალს აწვდენს მზერას მისი „ყოვლისმხილველი თვალი“: „ვიცი წარსული, მწამს მომავალი, ორივე მხარეს ვიყურები, ვით იანუსი“ (ვით იანუსი).

„ერი არის სული, დვთის ჩანაფიქრი, რომელსაც ან განახორციელებს ემპირიული ხალხი, ან დაღუპავს მას.



„ერი არის მისტიური ორგანიზმი, მისტიური პოროვნება, ნოუმენი და არა ფენომენი ისტორიული პროცესებისა...“

„ერის სული ყოველთვის გამოიხატება პიროვნებათა თვისებრივი შერჩევით, რჩეული პიროვნების მეშვეობით“ (ნ. ბერდიევი) (42, 15, 31, 29).

„პიროვნება, ერი, კაცობრიობა, კოსმოსი აი აღმავალი იერარქიული კიბე, რომლის საფეხურები ერთმანეთით არის გაპირობებული“ (43, 121).

ზეცაში ეძებს ვაჟა ეგრისელი სამშობლოს ეროვნულ მისიას, საკუთარი პიროვნების დანიშნულებას და, საბედნიეროდ, ორივეს პოულობს: „შორ წარსულიდან მოგესმოდა ხმა წინაპართა და გზას მისდევდი გეშით მეძებრის, თუმც ირეოდა ჟამთა მორევი. ცის უდაბნოში სამშობლოს და შენს თავს ეძებდი, ბოლოს იპოვე ორივე ერთად“ (შორ წარსულიდან).

„გადარჩენის წინამდგვარია იესო ქრისტე“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 3,10), ქრისტიანული რწმენა, რელიგიური სიტყვის მსახურნი.

სწორედ უმაღლეს ფასეულობათა გადარჩენისთვის იღწვოდა პოეტი იმთავითვე და კვლავაც აქტიურად ემსახურება ეროვნულ ტრიადას ენა, მამული, სარწმუნოება, საკაცობრიო იდეალებს. პოეტი სულის თვალით „მომავლის ჯეჯილს“ ხედავს, ესმის მისი შრიალი: „სადღაც მომავლის ხარობს ჯეჯილი და გესმის მისი ჩუმი შრიალი. თუმც წარსულითაც შენ



ხარ მდიდარი, ჩემი სიცოცხლე გიდგას თავდებად,  
რომ შენს თვალებშიც გამოიდარებს მამულო ჩემო!  
შენი ყანაც დათავთავდება“ (სადღაც მომავლის ხა-  
რობს ჯეჯილი) (2, 967).

ჩვენს წინაშეა ვაჟა ეგრისელის წიგნი – „ამირანი“  
– „იქმენ ნათელი“ (1993), წიგნები გიგანტები, ფიქ-  
რთა ცეცხლოვანი მთები, „ქართული სულის კოლი-  
ზეუმი“, იალბუზი და ეიფელი – „კოლხური ფსა-  
ლმუნების“ ხუთტომეული (2001-2010 წწ.).

ჩვენს წინაშეა ახალი „ოქროს საწმისი“, „ახალი  
გრაბლი“, „ფილოსოფიური ქვა“, „ციურ ქვაზე“,  
„ალესილი“ სიბრძნე, „მსოფლიოს ციურ აზრთა ნა-  
დავლი“, ხელთუქმნელი ოქროსა და ბროლის მეტა-  
ფორების დიდოსტატის მოწვდილი, რომელსაც „მზის  
ბეჭედი“ აზის...

მაშრიყიდან მაღრიბამდე განვითარდება მთელი სამ-  
ყაროს, ზეცის, პლანეტების, კოსმიური ცის, ტრან-  
სცენდენტურის მომცველი „პოეზიის იმპერია“, „ხმის  
ძლევამოსილი იმპერია“, მისი შესასვლელი კარია  
სიყვარული, რომელშიც „სიყვარულის გაკვეთი-  
ლებს“, სიყვარულის სასწაულებს ვეზიარებით და  
გვაძრულებს „სიყვარულის ღვინო“, „სიბრძნის ღვინო“,  
„სინათლის ღვინო“...

მკითხველ-სპეციალისტების ვალია, გამოისხან სუ-  
ლის ფრთები, გაინათონ სულის მხედველობა და გა-



ნიცადონ, გაიცნობიერონ ამ პოეტური სასწაულების სიდიადე და მასშტაბები...

ქართული პოეზია, დაწყებული პიმნოგრაფიიდან, რუსთველიდან, აღორძინების პერიოდიდან,

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა ჩათვლით, გამორჩეულია რელიგიური სიმბოლიკით, ნათლის ესთეტიკით. ამ ასპექტებში ვაჟა ეგრისელს მრავალი წინამორბედი ჰყავს ეროვნულ თუ უცხოურ პოეზიაში, მაგრამ დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი აქაც ინარჩუნებს ინდივიდუალობას.

გვაოცებს „კოლხური ფსალმუნების“ ავტორის ნათლის ვარიაციები, სულის მხედველობა, ნათელშემოსილობის, ღმერთშემოსილობის, მზითშემოსილობის, ცეცხლშემოსილობის მაუწყებელი ორიგინალური სახეები, სულის ნათება, ასტრალები, ორეულები, აურას ფერები, ყოვლისმომცველი ზეციური შუქი, „ოქროს ძაფით ნაკერი“... იქაური ციხს“ ელვარება...

ულტრაწითელ და ისფერ სხივებს მხოლოდ რჩეულნი ხედავენ, როგორც ვაჟა ეგრისელი: „ულტრაწითელს... იისფერს ხელგაშლილი მისტირი, სანამ ცას ვარსკვლავების მდუმარება შეშლიდეს და გსურს ოჯულტისტივით ფერთა ელვა აყარო, რადგან ბნელითმოცული მზეა შენი აურა, ყოველ დილით სამყაროს ჟრუანტელად რომ უვლის“ (მზეა შენი აურა).



პოეტი ხედავს მეშვიდე, მერვე, მეცხრე ცას, მეათე ცას, მას უხილავს მეთერთმეტე ცა, ანუ „ცანი ცათანი“, მარადიული სინათლის, ღმერთის სამყოფელი ცა.

ერთეულები ხედავენ სამი ასტრალური სხეულიდან გამომავალ აურას, მეექვსე და მეშვიდე საწყისი მიუწვდომელია ნებისმიერი ადამიანისთვის, ვაჟა ეგრისელთან კი ფიგურირებს „შვიდი, შვიდფერი აურა“, გეთსიმანის ბაღში ქრისტეს ფერიცვალებისას გაბრწყინებული ზეციური ნათელი: „შვიდი, შვიდფერი აურა შვიდფერი ცისარტყელების და ცის მეშვიდის ხმაურმა შეაკრთო მიწა დაღლილი. შვიდი, შვიდფერი აურა შენს სინათლეში გაბრწყინდა გეთსიმანის ბაღივით“ (შვიდი, შვიდფერი აურა).

ქართული პოეზიის დიდი ტრადიციები ასე გრძელდება ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში: „ქამთა ბრუნვამ ვერ დაგდალა, მტერი სამყაროს ორპირის და პოეზიის ტაძარში შედიხარ, როგორც ქურუმი, ქართულ ცასავით მაღალი, მოსილი მეფის პორფირით“.

მზით, მთვარით, ცეცხლით, ზეცითმოსილ პოეტს ცისკრის ნათელი ასხივოსნებს, როგორც ეკლესიასტებს: „შენიც ისე, ვით ეკლესიასტეს, ცისკრის ნათელი არის სამოსი“ (ვით ეკლესიასტეს).

ზეციური შუქის შარავანდედით, ღვთაებრივი ცეცხლით მოსილი, ცის ტაძარში ლოცულობს ანგე-



ლოზთა თანხლებით: „ვარსკვლავივით მოკაშკაშე შუქთა შარავანდი გედგა, ღვთაებრივი ცეცხლით მოსილს. ცის ტაძარში ლოცვად შემდგარს გარს გეხვია ანგელოზნი“ (ხილვა).

სულის ნათელი განთიადივით ეფინება ცას და მიწას: „ვაჟავ! – შენი სულიდ განთიადის ნათელი, ცას და მიწას რომ უვლის“ (ვით რომა და რომული).

ლოცვების, იების, მნათოა სხივების მშვენიერება ახვევია პოეტის სახელს: „და ლოცვები გაცვივა მხრებზე შექმრთალ იებად. არ გაქვს მეფის თიკუნი და არც ინფანტები, მაგრამ შენი სახელი, ვითარც მნათოა სხივები, ცაში და ცისქეშეთში ოქროდ კვლავ იფანტება“ (ინფანტები).

უკიდეგანოა, უსაზღვროა მშვენიერებასთან წილ-ნაყარი სულის მეუფება მთელ სამყაროში: „მთვარის თეთრი ჩოხით და მზის ოქროსფერ სამხრეთი, შენ ერთი ხარ მეუფე ქვეყნის კიდით კიდემდე, აღმოსავლით, დასავლით, ჩრდილოსა და სამხრეთით“ (შენ ერთი ხარ მეუფე).

წარდგნას გადარჩენილ, ღვთისგან ხელდასმულ პოეტს ცისარტყელა დაპნათის: „ცისარტყელა ხელს გიწვდის, რაღგან შენხარ მგოსანი, წარდგნას გადარჩენილი, ქრისტეს კვართით ნაშობი“ (ქრისტეს კვართით ნაშობი).

შეუძლებელია ამაზე უფრო ძლიერად გამოითქვას დედა-ძის მადლით ქართული სიტყვის შესაძლებლო-



ბათა წვდომის უნარი: „შენ, მესამე ათასწლეულს, ვით მეგობარს, ხელს რომ ართმევ, ალბათ სიყვარულით დაღლილს, მოგიქსოვა დვთისმშობელმა ოქროს კვართი ქართულ სიტყვის ყაისნაღით“ (შენ მესამე ათასწლეულს).

ცალკე პრობლემაა ვაჟა ეგრისელის პოეზიის სტილი, ენა, ნეოლითიზმები, რითმა, სახეობრივი აზროვნება, განუმეორებელი მეტაფორები, ორიგინალური სახისმეტყველება.

„ვაჟა ეგრისელის ტროპული აზროვნებიდან სწორუპოვარია მეტაფორული სტილი. სწორედ შენიშნა გურამ შარაძემ, რომ „ვაჟა ეგრისელის პოეზია – მეტაფორული აზროვნების ნოვაციაა“. გაუზიადებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონის შემდეგ საქართველოს არ პყოლიდა უფრო დიდი მეტაფორულენოვანი პოეტი, ვიდრე ვაჟა ეგრისელი“, წერს პროფესორი ტიტე მოსია (44, 10).

ცალკე პრობლემაა კოსმიური ხმების, „ციური არიის“, საღვთო მუსიკის მოსმენის უნარი, მისი „ხმის ძლევამოსილი იმპერია“, რომელშიც ერთი დიდ ნაკადი „გონის ცაში“ განცდილი „უხმო ხმის“, კოსმიური რიტმის აღქმაა, რითაც ქართველი პოეტი დანტეს მიერ სამოთხეში მოსმენილი „ნათელი ხმის“ „ნელსურნელებას“ გაგახსენებს.

ვაჟა ეგრისელის პირველხარისხოვანი პოეზიის სახით ქართული ეროვნული გონი მსოფლიოს გიგან-



ტებს თამამად არომევს ხელს, პოეტურ პარნასზე განსხვავებული ფქნომენით – „მსოფლიოს ციურ აზრთა ნადავლით“ წარდგება. იგი არათუ თავმოდრეკილია, უპირატესობის გრძნობით უცქერის კაცობრიობის უკეთეს წარმომადგენლებს, რადგან მას ზურგს უმაგრებს ათასწლეულების კულტურა, ბიბლიური ქალდეველებიდან, კოლხეთიდან, ეგვიპტიდან, კოლხეთის წინაპარი ხალხებისგან. მის წიგნებში მარხია „სული ძველი კოლხეთის, ტროა-კრეტა-მიკენის“.

საერთოდ, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ყველა პოლუსის, ყველა განედის მომხილველი პოეტი ნაზიარებია მსოფლიოს გონის საუბეთესო მიღწევებს პრეისტორიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, რელიგიის, მითოლოგიის, ბიბლიის, ესთეტიკის ასპექტებით, იგი არის პოეტი მითოლოგი, ისტორიკოსი, ალქიმიკოსი, ასტრონომი, ასტროლოგი, მათემატიკოსი, ეზოთერიკულ სიბრძნეს, მისტიკურ სიბრძნეს ნაზიარები, რომელსაც თვით აპოლონი უსინჯავდა მაჯას... გვაგონდება გრიგოლ რობაქიძის შესახებ ნათქვამი: „გრიგოლი დასავლეთ ევროპას უპირატესობის გრძნობით უცქეროდა, როგორც უფრო ხნიერი და კეთილშობილი, უძველეს სულიერ გამოცდილებას ნაზიარები რასის წარმომადგენელი“ (ნიკოლაუს ზომბართი, გრიგოლ რობაქიძე) (45, 126).


ასეთივე სითამამით შედის მსოფლიოს ოქროს ფონდის საგანძურში ვაჟა ეგრისელი, საკუთარი



ერის დიდი სულიერი კულტურის განსაკუთრებულობის რწმენით ამაყად ეახლება პარნასის მთაზე წვეულებს, რადგან თვით დვთის სამსჯავროზეა გადაწყვეტილი მისი პირველპოეტობა... ცნობილია დმერთოან დავით, ბიბლიური იაკობივით დმერთოან შეკინებით, პოეტების მეფესთან შეჯიბრებით, რწმენის, სულიერების, ეროვნული ტრიადის გადარჩენისათვის გაწეული ძალისხმევით.

## ლუარა სორდია

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის  
მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი





გთავაზობთ, ამონარიდებს ვაჟა ეგრისელის შე-  
მოქმედებისადმი მიძღვნილი ათასამდე ქართველი და  
უცხოელი მწერლების, მეცნიერების და საზოგადო  
მოღვაწეების წიგნებიდან, სტატიებიდან, წერილები-  
დან:

ვაჟა ეგრისელის ლექსები მცირე ზომის ჩანახა-  
ტებს წარმოადგენს, მეტაფორულითა და დრამატიზ-  
მით რომაა დამუხტული. მინიატურული სალექსო  
ფორმა პოეტისათვის სააზროვნო სივრცედ იქცა, რა-  
მაც ხელი შეუწყო თვითმყოფა-დი სტილის დამკვიდ-  
რებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა,  
გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.

18 ოქტომბერი, 1991 წელი.

**გრიგოლ აბაშიძე** – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელი გამოკვეთილი ხმისა და მაძიებელი სულის პოეტია.“ („სილბო ნაქსოვისა“).

**ელგუჯა ამაშუკელი** – საქართველო სახალხო მხატვარი, პროფესორი: „...ვაჟა ეგრისელის „კოლხუ-  
რი ფსალ-მუნები“ თუ მშობლიური ეგრისისადმი მიძღვნილი ლექსები, თამამად შეიძლება ითქვას, დირ-



სეულ დამფასებელს ელოდება და პოეტური ხილვები, სახეები, მეტაფორები ბევრს შემოუბრუნებს მზერას თავისი ქვეყნის მშვენიერებისაკენ, მის სულიერებისაკენ, მიწიერი ტკივილებით აღსავსე სახესრული სილამაზისაკენ...”

**აკაკი გაწერელია** – პროფესორი, ლიტერატურათმოდნე: „ვაჟა ეგრისელის პოეზია ქართული სულის მარადიული ყივილია. მისი შემოქმედება ნაკლებად ან სრულებით ვერ პოულობს ანალოგს ეროვნულ და მსოფლიო პოეზიაში... ვაჟა ეგრისელის მეტაფორული აზროვნება მიუწდომელი და განუსაზღვრელია... ვაჟა ეგრისელის სტილი ღრმადაა და-კავშირებული ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტებთან, კერძოდ, ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) წიგნებთან. ამაში პოეტის სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნების სახელწოდებებიც დაგვარწნუნებს: „სიცოცხლე,” „ამაღლება,” „ნათელნილვა,” „საგალობელი,” „იქმნ ნათელი!” და სხვა. „ფსალმუნი” და „ბიბლია” მარტო საკულტო ძეგლები როდია, ისინი ამავე დროს უდიდესი მხატვრული ძეგლებიცაა.

„ვაჟა ეგრისელის პოეზიაში შემავალი სტილური ინგრედიენტები, როგორც ბარათაშვილისა, აქამდე უცნობი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყენებული პოეტის მიერ. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, რაც მგოსნის უსამანო ინტელექტუა-



ლური მასშტაბებზე მიგვანიშნებს და ნებას მაძლევს ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია 21-ე საუკუნის რიურაჟზე ამომავალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია.

**არაგირა აკაპიტო** – პოეტი (იაპონია): „...ყველა პოეტი დვოთის შეილია, მაგრამ ისაკავა ტაკუ-ბოკუ, ფედერიკო გარსია ლორკა, ვაჟა ეგრისელი, –ჩემი სულის ნაწილია...”

**რევაზ მიშველაძე** – მწერალი, პროფესორი: „ვაჟა ეგრისელმა წლების განმავლობაში მიგვაჩვია თავის ლექსს. ეს გახლავთ აღმოსავლური მონიატურული ნახატივით მცირე ზომის, მეტაფორებითა და დრამატიზმით დამუხტული პოეტური ჩანახატი. პოეტმა ამ ფორმის ერთგულებით მოახერხა თანამედროვე მკიონეველის განწყობილებასთან მისადაგებული და თავბრუდამხვევი სიჩქარით დაღლილი მოქალაქსათვის ადვილად აღსაქმელი მცირე მოცულობის ლექსით მშვენივრად მოეტანა ჩვენამდე თავისი პოეტური სათქმელი. ნატიფი ხელწერითა და ნათელი სახეებით ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები თითქოსდა ლიტერატურული ქამანდი გახლავთ, უეცრად რომ შეგაჩერებს, თავისი სიმოკლითა და ლაპიდარულობით ყურადღებას რომ მიგვაქცევინებს, მერე უაღრესად თანადროული და ეროვნული პოეტური



აზროვნებით გაიძულებს, ჩამოჯე და პოეტის ფიქრი გაიზიარო, მის სტრიქონებთან დამე გაათიო...”

**ლევან სანიკიძე** – მწერალი, პროფესორი: „საქართველოს ხომ რამდენი ხანია პოეტთა ქვეყანას უწოდებენ. ყოველ შემთხვევაში, საქართველო საგსებ „სემი პოეტებით“ – „ნახევარ პოეტებით“ მაინც დიდმა პოეტმა პორაციუსმა რომ თქვა ორიათასი წლის წინათ. ხოლო, „პოეტი სრული“ – საქართველოში მოიძებნება ოდენ თითზე ჩამოსათვლელი, მათ შორისაა ვაჟა ეგრისელი. იგი ჭეშმარიტად დიდი პოეტია...”

**გიორგი სიჭინავა** – მწერალი, ქურნალ „აიას“ მთავარი რედაქტორი: „...ვაჟა ეგრისელის დიდებულმა პოეზიამ ამამაღლა და დამარტინუნა იმაში, რომ ეგრისელი, როგორც კოლხი, დირსეული შთამომავალია აიეტის, გუბაზის, ფარტაზის და დიდი ცოტნებადიანისა...“

**ნუგზარ ნადარაძა** – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: „... ვაჟა ეგრისელი – სიცოცხლეშივე ქართული ერის და მისი ძირძველი მხარის – სამეგრელოს უკვდავებად ქცეული ლეგენდაა, ილია ჭავჭავაძისეული უმტკიცესი ბურჯი და აკაკი წერეთლისეული ჩონგურის გაუწყვეტელი სი-



მია... „კოლხური ფსალმუნებით“ დედა საქართველოს მეხოტბე, დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწეა...“

**ნიკოლოზ სიანოვი** – მწერალი, შორეული ნაოს-ნობის კაპიტანი: „დედამიწის თითქმის ყველა კონტინეტის ნაგსადგურში, სადაც კი შევსულვართ, ყველგან ჩვენი საყვარელი პოეტების: სერგეი ესენინის, ფედერიკო გარსია ლორკას, ისიკავა ტაკუ-ბოკუს და ვაჟა ეგრისელის წიგნები დაგვიტოვებია საჩუქრად...“

**რეზო ადამია** – მხატვარი, მწერალი: „...კოლხური ცივილიზაციის უცნაური მოვლენა – ვაჟა ეგრისელის პოეზიის მარადმწვანე ველზე ბიბლიურ ხედ აღმოცენდა და მისმა არნახულმა ნა-ყოფმა უზომოდ გაამდიდრა დღევანდელი ქართული ცივილიზაციის საგანძურო. ვაჟა ეგრისელს რამდენიმე ათასი წლის წინათ კოლხეთში რომ ეცხოვრა, უთუოდ ისევ დიდი პოეტი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ვარსკვლავთ მრიცხველი იქნებოდა...“

**სოკრატ არშბა** – პროფესორი: „...ეგრისელის უაღრესად ეროვნული შემოქმედება, მსოფლიოს ნებისმიერი დიდი ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურას დაამშვენებდა...“

**ევგენი აქუბარდია** – მწერალი: „...როგორ იქნება, ვაჟა ეგრისელის ათასიგერდიანი „იქმენ ნათელი“ გა-



დაშალო და შთამბეჭდავმა მეტაფორებმა, ხატოვანმა თქმებმა, მშობელი ცისა და მიწის თვალმარგალი- ტებმა არ გაიზიარონ ჰეშმარიტ პოეზიას: „ ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს.” და არ აღიარო: „ვიქმენ ნათელი! ” „პოეზია უპირველეს ყოვლისა! ” აბა, პრემი- ებით არც დიდი გალაკტიონი გაუნებივრებიათ, - თუნდაც თუ გაწითლებულა ვინმე, ეგ რა მოგვსლი- აო...”

**გურამ გუპატაძე** – აკადემიკოსი: „.... ეგრისელის ზოგიერთი „ფსალმუნი“ კოსმიურია და ბევრი სინათ- ლის წელი დასჭირდება მის დედამიწამდე ჩამოლწე- ვას...”

**ნუგზარ სართანია** – ინჟინერი: „....ქართული პოე- ზიის რაინდის – ვაუა ეგრისელის პოეტური ენერგია ენგურებსის კაშხალია, პრეისტორიული კოლხეთიდან თანამედროვე, ისტორიულ სამეგრელოში (საქართვე- ლოში) გადმოხეთქილი და მირიად სხივად გაბრწყი- ნებული, რომელსაც ძალუძს წყვდიადით მოცულ სამყაროს ნათელი მოჰყვინოს...”

**ჯემალ აჯიაშვილი** – პოეტი, მთარგმნელი: „არ მშორდება და მუდამ თან დამდევს ვაუა ეგრისელის: „და...ჩემი ლექსის ყველა სტრიქონი, მოშურნეთათვის ჩემი მამულის, არის საყვირი იერქონის! ”- ჰეშმარი- ტად! ”



**შოთა ბადრიძე** – პროფესორი: „ფიქრმიუწდომებლია ვაჟა ეგრისელის მეტაფიზიკური პოეზია...”

**ოთარ ბერაძე** – პროფესორი: „ვაჟა ეგრისელმა, ამ მაღალზნეობრივმა და ღვთიური ცეცხლით გულანთებულმა პოეტმა, ახალ სიმაღლეზე აიყვანა უძველესი და უმშვენიერესი ქართული პოეზია...”

**მერაბ ბერიძე** – დრამატურგი: „...თავაწეულმა უნდა იაროს ვაჟა ეგრისელმა, რადგან სულ ერთი ნაბიჯია დიდების მწვერვალამდე...”

**მურმან ბერია** – პროფესორი: „მეოცე საუკუნეში, გალაკტიონისა და ტერენტი გრანელის მერე, ყოფნა-არყოფნის, მარა-დისობისა და წარუვალობის, სულის მარადიულობის მტკიცნეულ პრობლემებს ვაჟა ეგრისელის დარად არცერთი ქართველი პოეტი არ შესჭიდებია...”

**ხუტა ბერულავა** – პოეტი: „ვაჟა ეგრისელი დიდი პოეტია”...

**აკაკი ბეშიძე** – აკადემიკოსი: „ვაჟა ეგრისელის ლექსები – მინატურული ვულპანებია, საიდანაც მეტაფორებისა და ეპითეტების ლავა იფრქვევა...”

**ზაურ ბოლქვაძე** – პოეტი: „სანამ საქართველო იქნება, ვაჟა ეგრისელის პოეზიაც იცოცხლებს...”




**ნანა ბოხუა** – პოეტი: „ვაჟა ეგრისელის პოეზია – ფენი-ქსია მითიური კოლხეთის ფერფლიდანაა აღ-მდგარი და დღევანდელობაში მოფრენილი.“

**ემირ ბურჯანაძე** – მხატვარი: „როგორც სვეტიც-ხოველმა ქართული ცა, ისე აამაღლა ვაჟა ეგრისელ-მა უმშვენიერესი ქართული პოეზია...“

**გიორგი გაჩეჩილაძე** – კრიტიკოსი, პროფესორი: „ახალი თაობის პოეტებმა ოცდამეერთე საუკუნეში ვაჟა ეგრისელისებურად უნდა დაიწყონ წერა...“

**ნოე გელაშვილი** – პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადე-მიის ვიცე პრეზიდენტი: „ეგრისელის პოეზიას მზერა მიწისაკენ კი არა, უფრო ცისკენ გაურბის და განსაცვიფრებელ სიახლეებს გვთავაზობს...“

**აკაკი გელოვანი** – მწერალი, მთარგმნელი: „ბუნე-ბისა და ადამიანის ცოცხალი კავშირი, ვაჟა-ფშავე-ლას პოეზიაში რომ უმაღლეს ასახვას პოულობს, ვა-ჟა ეგრისელის ათას გვერდიან ერთტომეულში „იქმენ ნათელი“ სულ სხვა, თვისებური შინაარსს იძენს, მაგრამ აქაც იგრძნობა კლასიკური პოეზიის ერთგუ-ლება... და ორი დიდი პოეტის სულიერი ნათესაობა...“



## ჟსალიტერატური

ვითარც პრომეთემ,  
ეს მცირე ცეცხლი,  
ზეშთაგონების ღმერთს მოვსტაცე  
მაღალ ზეციდან. და  
აგაბრწყინე ამ წიგნის ველი.  
ადექ,  
გახსენი,  
თუკი შეგცივდა  
და სტრიქონების ნაკვერჩხლებზე  
გაითბე ხელი.

1971

\* \* \*

ხიდან —

ჩვენი სიცოცხლის,  
ცვივა ოქროს ნაყოფი...  
რის ჩინური კედელი!  
თხმელის წენელის ღობეა, —  
შეა,  
ყოფნას და არყოფნის.

2001



\*\*\*

ლოცვად მოუსხამს ზეცას მთიები  
და შორეული სივრცე  
იტაცებს...

მთვარის ბინადარ მგოსანს –  
მთვარის მოსაგს მშვენება  
და ჩამოსულა დედამიწაზე, –  
„უფლის ბაღის მოსაშენებლად“.

2001



\*\*\*

მარადიულ ცის ტილოზე,  
ხელთ მზის ფუნჯით  
საოცრებებს  
ქმნიდნენ უფლის კარნახით:  
გოლბეინი,  
დელაპრუა,  
სეზანი და კრანახი.

1963



\*\*\*

ვით მზე დილას –

მღიმარეს,

მსურს, რომ სული აღმომხდეს,

რომ მოგირჩეს სიყვარულის

იარა.

და იცოდე –

აქ – მიწაზე კი არა,

ცაში არის სამოთხე!

2003



\*\*\*

სადღაც ათასწლეულების –  
ძველ ჭალაში,  
კით არესის,  
დაგიწყების ბუდობს პიდრა  
და ხსოვნა კი მის მტერია,  
სწორედ მას  
მსურს გამოგტაცო,  
მე „გოლხური მისტერია“.

1974



\*\*\*

როს მზემ დასავლით თვალი მიღულა,  
მწუხარმა ცის მკლავზე  
ვარსკვლავი აცრა  
და გამოცოცდა ღრუბლებიდან სხივი –  
ც ა ხ ც ა ხ ა.  
უცებ იქუხა და... ყოველი აქცია ნაცრად,  
ფეხი დაადგა სიმყუდროვებ  
მთვარის ნასახლარს.

1968



\*\*\*

რა ვქნა!

კოლხური –  
„ჩემი ფსალმუნი“,  
დიდ მეფსალმუნის –  
დავითისაც ვერ  
დაგამგანე,  
აი, ამიტომ მიპირებენ დავას იჭვები.  
მაგრამ მე მაინც  
ფიქრის არგანით,  
ათასწლეულთა უღრანებში დავაბიჯებდი.

2003



\*\*\*

სიცოცხლე,  
სიკვდილი,  
ყოფნა და არყოფნა,  
თითქოს ვივალდის ოთხი სონეტია.  
საქართველოში ოთხი პოეტია,  
სხვა ათას დანარჩენს,  
არავინ იცის –  
ჟამი თუ დაარჩენს.

1993



\*\*\*

ხელთ ეპყრა კოლხური მთვარის ნაჭერი!

მიწა ქალამნად,

ჰქონდა ცა ჭერად.

და მეოცეში ზღაპრულ პეგასით

მოვარდა უკან მოუხედავად...

...თითქოს შორეულ

წარსულიდან –

უცხო მხედარმა,

თეთრი ტაიჭი შემოაჭენა.

2001



## რაზაელის პარნასი

პეტრარკას და ალიგიერს,  
ძლიერთ...

განა უუნაროთ,  
ყველას ბედი ჰყავდათ გზირად,  
თვით „პარნასის“ ფრესკით  
მზირალ –

დიდ რაფაელს...

დიდ ანჯელო  
ბუონაროტს.

2000



## ზელა: ხვისუშვილები

გეშას წყაროსთან\* კოშკი დგას,  
ცხრათვალა,

ცას მიბჯენილი  
და შიგ კი ოქროს ტახტი დგას,  
მორიგე მამა-ღმერთისთვის.  
ოქროს შანდლებზე – ოქროსვე  
ცრემლია ჩამოღვენთილი:  
რადგანაც სტკივათ სახსრები  
კლდეებს,

დღეებში მიშლილებს...  
და ვჭვრეტ „დარანთან“ ალვის ხეს,  
მის ოქროს ჩრდილქვეშ ჩამომსხდართ –  
ოქროსფრთებიან – ხვთისშვილებს

1998

---

\* გეშას წყარო – უკვდავების წყარო.

\*\*\*

ჭკუას ვარიგებ...  
ლექსები კი არ მიგონებენ!!!  
სიტყვები ჩემი პეტანან შეთვალულ  
ბალს თუ „რქაწითელს“.  
დავბერდი კაცი!  
და სტრიქონები,  
რაგენა  
ვერაფრით ვერ დავამწიფე!

2000



## ლაზარე

„და ესე ენაი? მძინარ არს დღესამომდე,  
და ხახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე  
პრექან“.

ოთანებულებები

გადაურჩა არაბებს,  
მონღოლებს და ხაზარებს.  
ათას შურსა და მცრობას,  
ასი ათას ლიზდებას.  
და მძინარე ლაზარე  
ახლა შენგან მოელის,  
კოლხო!  
გამოღვიძებას.

1966



## სამება

მამა,  
ძე და სულიშვილა,  
სამია და არის ერთი,  
ისე, როგორც „სამთავისი“,  
„სამაია“ და „სამშვილდე“  
და არაგვიც გახდავთ სამი:  
ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთის.

1968



\*\*\*

ითვლი მკერდზე –  
გარსკვლავების ნაიარევს,  
საოცრებას მაინც ელი.  
მიხვალ...  
და გზა არ იღება...  
ტბა აღარ ჩანს გალილეას,  
ვით იესომ გაიარო  
და არ გქონდეს ფეხი სველი.

2001



\*\*\*

ვითა სკა ახალნაყარი,  
მიღეთში აღარ ეტევი...  
მოსულნი ურით,  
მეთანით!  
ხართ ქრისტეს ძვალის მკვნეტელი –  
ნაშობნი იქედნეთანი.

1989



## ალ-ქინდი და ალ-დაზილი

შოთრ წარსულში –  
გაკრთა ელგა,  
თითქოს უფალს ჩაეძინა,  
როცა ბოდბებს ყური მოჰკრა:  
ალ-ქინდის<sup>1</sup> და  
ალ-დაზალის<sup>2</sup>,  
ავეროებ<sup>3</sup>,  
ავეგინას<sup>3</sup>!

1969

---

1,2,3,4 – არაბი ფილოსოფოსები.



\*\*\*

წუხილად ცაში ასული,  
ისმის ძაღლების დავდავი,  
მთვარე ცაში ვერ ეტევა.  
და, ვით დევი და აგსული,  
ოფას შეკაში დამღამით,  
რაღაცა დაეხეტება...

1959



## 01ხსარი და გეღება

ადამის ძეთა ნაშიერს,  
ცხრათავიანი დევების  
შიშით რომ აღარ ედელვა;  
სულ გვერდით ედგა პვირია<sup>1</sup>,  
იახსარიც<sup>2</sup> და  
ბედელაც<sup>3</sup>.

1966

---

1,2,3 – ქაცობრიობის განმასახიერებელი (ხევსური) გმირები



\*\*\*

ზვირთებზე ამხედრებული,  
მწუხრი ნაპირებს მიადგა.  
და ახლაც,  
ვით წინათაც,  
ვიღაც ბინდბუნდში კითხულობს  
სულებს,  
ზღვის ფსკერზე ბინადართ.

1960



## 300 კოლექტური მროვესი

შოთარეული კოლხეთის –  
დვორიურ იდუმალებას,  
სულს –

ჭარსულში ატანდი,  
გითა კოლხი ქრონოსი –  
მეფეთ-მეფე ატლანტის.

1965



\*\*\*

უსასრულობაში –  
სამყარო მარხია,  
არ უჩანს არც თავი,  
არც განი.  
დღე უფლის სახეა,  
დამე კი – სატანის.

1961



## ტაო-კლარჯეთში

ხუთი საუკუნის მერეც,  
 ისევ ფიცულობენ ძმის მზეს,  
 არა მაჲმადსა და  
 ალაპს.  
 და კვლავ ტაო-კლარჯეთიდან –  
 ცრემლიანი თვალით გვიმზერს:  
 პოშრეთი<sup>1</sup> და მიძნაძორი<sup>2</sup>,  
 ნუკა<sup>3</sup>,  
 ექექი<sup>4</sup> და ჯალა<sup>5</sup>.

1966

---

1,2,3,4,5 – ქართული ეკლესია-მონასტრები (IV – XVI ს.), რომლებიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა



## ჯგრები: გუდან-ლაშარის

ქისტი რაღას დააკლებდა  
და ან ლეკი — აშარი.

მაშინ,

როცა ფშავ-ხევსურეთს,  
დღენიადაგ მფარველობდნენ  
ჯგრები —

გუდან-ლაშარის.

1965



## ქუბალე

ბაბილონის გოდოლის  
 ცად მდგარ რვავე სართულის  
     კედლებს მკერდზე ეწერათ  
 სიტყვა კოლხურ-  
     ქართული:  
     „ქუბალე\*!“

1982

---

\* „ქუბალე“ (მეგრ.) – შემოგევლე. პეროდოტეს (ძვ. წ. IV ს.) ცნობით, გოდოლის სიმაღლე იყო 90 მეტრი. საძირკვლის სიგანე 180 მ. პირველი სართულის სიმაღლე იყო 33 მ, მეორის – 18, მეშვიდის – 15 და ა. შ. გოდოლის მშენებლობაზე დაიხარჯა 85 მილიონი აგური.



\*\*\*

ვითარც ადრე,  
ქვესკნელი  
ბნელში, ისევ ისეა,  
მაგრამ, მწამს „ოდისეა“,  
ჩუმ სიხარულს განიჭებს,  
რადგან იცი, სიზმრების  
სახილველად ეწვევი  
შენ ჰადესის კარიბჭებს!

1984



\*\*\*

რომ დაგავიწყონ წარსული  
და მასთან ერთად ეგრისი,  
დღეს არის ამის მცდელობა!!!  
და ვით იტყოდა ტიციან,  
მათ დიდებულად იციან:  
დღევანდელ საქართველოში,  
ძნელია ეგრისელობა!

2014



\*\*\*

ეზოთერიკულს მისდევდა ბილიკს...  
ლამე უღრანაში –  
უჭირდა პოვნა.  
და მერე გვიან...  
სამოთხის კარი,  
გაუღეს...  
მაგრამ არ ახსოვს ხსოვნას.

2011



\*\*\*

იყო სარგონ მეორე<sup>1</sup>,  
 მან ესროლა მზეს შუბი!  
 და მას მერე მოისმის  
 ციდან წყევლა-ჩივილი:  
 ხალდესი<sup>2</sup> და ოეშუბის<sup>3</sup>,  
 ცეცხლისმფრქვეველ შივინის<sup>4</sup>.

1979

- 
- <sup>1</sup> – სარგონ მეორე – ასურეთის მეფე (ძვ. წ. VIII ს.).  
<sup>2</sup> – ხალდე – უზენაესი ღმერთი ურარტუს ღვთაებათა პანთეონში (ძვ. წ. IX ს.).  
<sup>3</sup> – ოეშუბი – ამინდის, ჭექა-ქუხილის ღმერთი.  
<sup>4</sup> – შივინი – მზის ღმერთი.



\*\*\*

მიიმდერის სიყვარულს

ისე,

ვით ავთანდილი,

ქვეყნად ვერ დაეტია.

პოეტია ნამდვილი,

მაგრამ მაინც პოეტზე

ერთი ადლით მეტია.

2014



## პერვიციუმი

ქართული ცისქვეშ ღამენათევი

პოეზიაა შენთვის –

ელვით გასანთლული ყულფი.

და მაინც...

„კოლხური ფსალმუნები“


და „იქმენ ნათელი!“

ბენეფიციუმია\* უფლის.

2001

---


\* ბენეფიციუმი (ლათ.) – წელობა.



## არამხუჭუ-ამირანი-პრომეთე

ლეგენდებიდან მოსულნი –  
მითებს და ლეგენდებს  
ერთვიან,  
ვინც უცხადებდა ომს დმერთებს.  
სამია,  
მაგრამ ერთია:  
არამხუჭუ-  
ამირანი-  
პრომეთე.

1969



\*\*\*

სადღაც მარადისობის  
გზაზე,  
პვლავ მიგაცილებს  
მზითმოსილი ეოსი<sup>1</sup>.  
ვერრას გიზამს მაცილი<sup>2</sup> –  
დვთის საჭურვლით  
შემოსილს!

2001

---

<sup>1</sup> – ეოსი (ბერძ.) – განთიადის ღმერთი.

<sup>2</sup> – მაცილი (ქართ.) – აფი სული, დემონი.



\*\*\*

მარად მედინი მზის და  
სიცოცხლის  
ხელებით აკვანდარწეულები  
რომ დგანან ფეხზე,  
ქართვლის მთებია.  
ბრძოლით ჩავლილი ასწლეულები –  
ძველ კოლხეთისკენ –  
ისევ ისე იხედებიან...

1969



## 01სპ001 და აშატ001

განვლე ასწლეულები

და იქიდან –

აქამდე,

მოხვედი უფლის ხმობაზე –

და შენ ააგე სასახლე:

იასპითა და

აქატით,

ანთრაკითა და ტოპაზით.

2004



\*\*\*

ეველა გზა ალბათ იქ უხვევს  
და ჰყვავის მზე და  
იელი.

მგოსანო, შენი სახელი,  
სამყაროს გადაიელვებს,  
მეხივით გადაიქცებს.

2014



\*\*\*

მიმწუხარისას წუხელ მთვარემ,  
დარახტული ვარსკვლავების  
გადუქროლა ცას ამალით.  
და არ დაუტოვა ლამეს  
გულში  
ბნელის ნატამალი.

1967



\*\*\*

ისე, ვით სიცოცხლე,  
სიკვდილიც შენ გშია  
და გსურს წარსულის  
ლანდები აყარო!  
რადგანაც სამყარო შენშია,  
შენა ხარ სამყარო.

2002



\*\*\*

ვითარც ათასწლეულების  
წინათ,  
ახლაც წარმართების –  
მონაბერი ქარიშხალი,  
ისევ ისე ქრის ტიალი,  
მაგრამ ქრისტეს გაჩენამდე,  
მე ვიყავი ქრისტიანი.

1973



\*\*\*

არაგვი ღელვას დაგვპირდა,  
მოსილი შავი ღრუბლებით,  
ნისლებში მთები არ ჩანან  
და ჩვენ ჩარგლულას ნაპირთან –  
ლუბას,  
თედოს და  
ბაჩანას,  
აჩრდილებს ვესაუბრებით.

1963



## ამირსპასალარი

ადამის ძის ნაშიერი,

ამ მილეთში

არსად არი,

კაცი უფლის მოვლენილი:

სიბრძნის ქვაზე აზრის ლესვის!

შენ ხარ ამირსპასალარი,

სპა – მრავალი ქართულ ლექსის.

2009



## მიქაელიშვილი

სადღაც,

მიუვალ პიტალოზე,

ეს ჩემი მცირე ნანადირევი,

ვითარცა აქ,

ისე

იქაც გარიო,

სად ვარსკვლავების ქინქლა ირევა,

მიქაელიშვილ!

2004



## ქ ა მ ა ნ დ ა რ ი

დამეებმა შენ დაგსაჯეს,

თუმც სიყვარულს

ვეღარ გტაცებს,

ვერც დარი და ვერც ავდარი

და სიტყვაში –

სიტყვას აჯენ,

ვით ოსტატი ქამანდარი\*.

2003

---

\* ქამანდარი – კარგი მსროლებელი.



\*\*\*

ადამის ძის ისტორია,  
თუმცა ბრძოლითა და  
დავით,  
მაინც მართლის ბილიკს მისდევს,  
რადგან იცის,  
გით აბრამი,  
ქალდეველი იყო ქრისტე.

1979



\*\*\*

გაჩენის დღიდან სივრცეებს –

აწუხებთ ვარსკვლავთა იარა.

და მიტომ ცა მიწას

არ ყვარობს.

უკოლხეთოდ, საქართველო კი არა,

უწარსულოა –

სამყაროც.


1969



\*\*\*

ღრუბლების ზეირთები დელავენ  
მთვარეში  
და მეხის ძახილზე ფრთხებიან...  
ფიქრის ზღვა არ ყოფნით სათარეშოდ  
შენს ლექსოა სტრიქონებს,  
ალბატროსების ფრთებიანს.

2001



## ჩე გოლა

ჩე გოლა<sup>1</sup> –

მთა გახლავთ მონსალვატის<sup>2</sup>,

სადაც „კოლხური ფსალმუნები“,

ვით ტიტურელის გრაალის ტაძარი

(რომელსაც ქოროები ამშვენებენ),

სულ ბივრიტითა და

ონიქსის, –

ნათალი ქვებითაა ნაშენები.

1999

---

<sup>1</sup> – ჩე გოლა – (ზეგრ.) – ოქონი მთა (სამეგრელოში).

<sup>2</sup> – მონსალვატი – მთა იერუსალიმში.



\*\*\*

მწუხარისას ცის ბილიკებით,  
ოცნება შორს გამიტყუებს –  
(დამაძალებს სხვათა მტრობას!)  
ვით ადრე,  
ეხლაც თავს ვიტყუებ,  
ვინა თქვა ჩემი პოეტობა?!

2004



ა. ლ. ლ.

\* \* \*

სიცივის კიბეებით ჩამოდის ზამთარი,  
და თოვლი მოუშვია  
თმა-წვერივით,  
თვალები სინათლით ევსება.  
მდინარეები –  
პოემებია,  
ნაკადულები – ლექსები,  
მთების ცრემლებით დაწერილი.

1962



\*\*\*

ვითარც კოლხურ მზის ნაშიერს,

ათასწლეულია —

ბარე ოცი,

სფეროები რომ თავზე მევლებიან.

ჩემი საფლავია —

მთვარის ბორცვი,

ვარსკვლავები —

ანგელოზთა ცრემლებია.

2005



\*\*\*

ფაზისის არა,  
სადღაც ნილოსის  
მიღმა,  
ასი ათასწლეულის,  
ჩემი სამშობლოს შოორეული ბედით  
სნეული –  
ფიქრი დაეძებს იქ მოსახლე  
კოლხთა საცხოვრისს  
და გზას უნათებს მაღლი  
მაცხოვრის.

1977



\*\*\*

ჩამავალი მზის ხვინჭა სხივები,  
მიწას კი არა,  
ზეცას ათბობენ,  
თუმცა ღრუბლები ჩანან ჭყინტები.  
სადღაც შორეთში –  
ერთი ვარსკვლავი  
მთვარის სარკმელთან კვლავ იჭყიტება.

1964



\*\*\*

აბაზებმა და მაჟმადხანებმა,  
ზღვისკარად მდგარი ჩემი  
მამული,  
ბევრჯერ დამიწვეს და ამიოხეს...  
მიწიდან აღგვას დღესაც  
ლამობენ.

მე,  
საქართველოს –  
უძველეს ქოლხეთს,  
ასი ათასი ფსალმუნი ვუგალობე...

2009



\*\*\*

ეს სამყარო მთელი –  
ხელისგულზე მიზის.  
ვდგავარ უფლის ჩრდილში  
და შევჭრებ შიშით,  
„იქით“ გადაფერდილ  
პირამიდას პიზის.

1984



\*\*\*

მეხი – მეხს მისდევს,  
ქუხილს – ქუხილი...  
და ცის ველ-მინდვრებს  
ოქროდ გადაშლილს,  
ავლავ ანიავებს და აპარტახებს.  
ზღვა კი ისევ წევს  
ლელვის აკვანში,  
წყვატს ქარიშხალი ზვირთთა არტახებს.

1962



\*\*\*

მიწისგან არა,  
ცისგან შთაბერილ  
სულს,  
რად ამბიმებს ხორცის  
სიმძიმე,  
სააქაოში სულდგმულთაგან იცის არაგინ!  
ბნელში რატომ დგას მთვარის  
კარავი,  
და ან ვარსკვლავი ჩუმად ვარსკვლავს  
რად შესციმციმებს?!

1969



\*\*\*

სიცოცხლე არა,

სიკვდილია თვითონ უპვდავი,

მიტომ არ ესმიოთ მოკვდავთ

მუდარა.

ფეხდაფეხ დაგვდევს სულთამხუთავი,  
მიწა —

ქუბოა,

ცა კი — სუდარა.

1971



## სვანეთში

— თავზე ჭერი გვენგრევა —

ისმის შორით

ღამ-ღამით —

განწირული ძახილი —

მესტიაში — ლალამის,

გულახში კი —

ლახირის.

1974



## ბორჩესი და მარკესი

ლამის ლაბირინთებში

თვალს გჭრის ბრწყინვა

„სარკესი“

და ჭვრებ სულ სხვა სამყაროს –

ათასფერად დაკემსილს.

სადაც სული ტრიალებს –

ბორჩესის<sup>1</sup> და მარკესის<sup>2</sup>.

1976

---

<sup>1</sup> – ხორხე ლუის ბორჩესი – არგენტინელი მწერალი და პოეტი (1899 – 1986).

<sup>2</sup> – გაბრიელ გარსია მარკესი – არგენტინელი მწერალი.



\*\*\*

ყოფნაც და არყოფნაც,  
ორივ ერთად შეფსკვენი  
და რაც იყო, სულ ითქვა.  
უხილავი არ დარჩა  
ზესპელი და ქვესპელი,  
შენს ყოვლისმჭვრეტ გულისყურს,  
ყოვლისმხილველ –  
სულის თვალს.

2004



\*\*\*

მწუხარის კართან ხეები,  
ჩუმადვე გაილანდნენ,  
თან წაიღეს ორო\*.  
დამე უსმენს დილამდე,  
ვასაკების „კვა-კვას“ და  
ბაყაყების ქოროს.

1960

---

\* ორო (მეგრ.) – ჩრდილი.



\*\*\*

ყურშა ვარ ყოფნის ერთგული,  
ამირანს ჯაჭვს რომ  
ულოკავს,  
ხვალის იმედს რომ არიგებს.  
და ვვედრი არსთა  
გამრიგეს:  
სიკვდილზე ადრე ნუ მომკლავს.

2008



## ოსირისი და იზიდა

დღე და ღამე ნიადაგ  
 გვტყორცნის მზერას –  
 ისრიანს,  
 და ჩვენ ფიქრს რომ იზიდავს –  
 მოვარე –  
 ოსირისია<sup>1</sup>,  
 მზე – მშობელი იზიდა<sup>2</sup>.

1966

---

<sup>1</sup> – ოსირისი(ბერძ. ეგვიპტ.) – მცენარეულისა და ნილონის ღმერთი.

<sup>2</sup> – იზიდა(ბერძ. ეგვიპტ.) – ნაყოფიერებისა და დედობის ქალღმერთი.



\*\*\*

ქვეყნის ორომტრიალში –  
თავი არ დაიბერეს  
ბერძნებმა და...  
უძღვნიდნენ,  
ვითარც დმერთებს, სიმღერებს...  
ქვეყნად პირველ მოსახლე –  
ქალდეველებს, –  
იბერებს.

1984



\*\*\*

შოთა წარსულში პელაზგი  
ბნელში სანთელს უნთებდა:  
ნერეიდას<sup>1</sup>,  
ოქმიდას<sup>2</sup>,  
ჰერას<sup>3</sup>,  
ვესტას<sup>4</sup>,  
ქარიტებს<sup>5</sup>.  
დღეს კი პრეისტორია, ნეტავ,  
პირს  
რად არიდებს?!

1977

---

1,2,3,4,5 – (პელაზგ) – ღმერთები



## ჩართული სული

სულს საფრენად სამყაროს ხივრცე  
ეპატარავა

და უსაზღვრო საზღვარი ცოტა  
იქით გასწია,

სადაც მიჭედილია ცა —

კოლხური ანბანით —

და მარადის უქამო დღე მუცფობს  
მზიანი...

ჩაუქროლა პლანეტებს,

განედ-მერიდიანებს,

ზღვებს,

ბერმუდის კუნძულებს,

სკნელებს, ანდებს,

უდაბნოს...

და სავანედ ირჩია ჩე-გოლა<sup>1</sup> და

შამბალა<sup>2</sup>.

1973

<sup>1</sup> — ჩე გოლა (მეგრ.) — თეთრი მთა

<sup>2</sup> — შამბალა — წმინდა სულების სავანე

\*\*\*

მზის შვილი ხარ და სამყაროს  
გარს,  
ნიადაგ მზისებრ უვლი  
და გაწვალებს სიმარტოვე,  
რადგან შენ ხარ,  
ნოე,  
„მართალი და სრული“.

2015



## ხილვა: ქსენოფონტე ფაზისთან

აფრაგაშლილს ვხედავ გემებს,

ზღვაში ჩაყრილო,

ვით ნაფოტებს.

იქვე მდგარი ქსენოფონტე,

ბრძოლით მხურვალ შუბლს

იგრილებს.

და წალეპკით ემუქრება –

მოსინიკებსა<sup>1</sup> და

დრილებს<sup>2</sup>.

1971

<sup>1</sup> – ქსენოფონტე – ბერძენი მწერალი და სარდალი.

<sup>2</sup> – მოსინიკები, დრილები – ქართველური ტომები.



\*\*\*

ზღვის მეუფობამ და  
მზის შვილობამ,  
მიწიერ მითებს გადაამეტა  
და არ წამოგცდეს მდურვა გამჩენის.  
რადგანაც უცხო –  
შენ ხარ პლანეტა,  
დიდი ხნის მერე აღმოსაჩენი.

2009



## სპეციალისტი

როს პართიელთ წარსტაცეს  
გვარი სასანიდებმა,  
მაშინათვე ლაზიკის  
სახელსა და დიდებას:  
ფაზისსა<sup>1</sup> და პიტიუმს<sup>2</sup>  
მზე ჩაუქრეს სპეციალის<sup>3</sup>.

1972

---

<sup>1</sup> – ფაზისი – ფოთი.

<sup>2</sup> – პიტიუმი – ბაჭყანთა.

<sup>3</sup> – სპეციალის შემოსევა – 225 – 260.



## ჩილდირთან და მაკრიალთან

ათასი წლის სიშორიდან –

ჩილდირთან და

მაკრიალთან –

გესმის ჩუმი საუბარი:

მეგრელების და

ლაზების,

„ომახუჭუჭა“ ლამაზების –

სანის,

ზანის და

სუბარის.

1967



\*\*\*

ყოფნის ტყეში ვჭვრებ:

სიკვდილი —

მეტყვევე,

ცხოვრების ხეს ჭრის და...

ცვიგა ნაფოტი.

წერენ კი კვლავ არხეინად,

ათას დარდით გაფოთლილს —

მიღუყვებით —

არყოფნის ხეიგანს.

2001



## ლისტიქი

I

(კაულბახი<sup>24</sup>: „მარადიული ურია“)

არავინ იცის, სად გარბის,  
გზები ვინ აურია?!  
კაულბახის მზით ნაწერ –  
„მარადიულ ურიას“.

II

(მაზაჩო<sup>25</sup>: „სამოთხიდან განდევნა“)

განვლო წელმა რამდენმა,  
მაინც ბრწყინავს მაზაჩოს  
„სამოთხიდან განდევნა“.

1972

---

<sup>24</sup> – კილპელმ კაულბახი – (1805 – 1874) დიდი გერმანული მხატვარი – მაზაჩო (ტომაზო დი ჯოვანი დი სიმონე კასარი (გვიდო) – 1401 – 1428

<sup>25</sup> – დიდი იტალიული (ფლორენცია) ფერმწერი



\*\*\*

უბადრუკია,  
რა ქნას ცხოვრებამ,  
რომ მოეკიდოს,  
არა ჩანს ხავსი.  
ჩაჟინებია თვალში მზეს შტერად,  
დაეპარგება სიცოცხლეს ფასი,  
სიკვდილი თუ არ  
წამოეშველა.

2008



## დხარმა – რაღუა

ფაზისისპირ დარდმოსხმული  
კვლავ ჩასცერი  
კარმის სარკეს,  
დიდო ეგრისელო ვაჟა!  
მაგრამ ჯერაც ვეღარ არკვევ,  
რას გიპირებს –  
დხარმა-რაღუა\*.

2014

---

\* დხარმა-რაღუა (ტიბეტ) მიცვალებულთა მოსამართლე



\*\*\*

მნათთა პვეს-აბედს გაჰკრავს

უფალი,

ნათლით ააგსებს დამის დარბაზებს.

ცაზე ჰქიდია მთვარე –

ეშვივით.

სანაპიროზე კვლავ დაბარბაცებს –

ზღვა ქარით მთვრალი

და გალეშილი.

1971



\*\*\*

სამყაროს კოლხ-იბერთას,  
 უხმობდნენ იღბლიანს,  
 რადგანაც ცის ხილვა  
 იმათ ეკუთვნოდა!  
 სად იყო „მკვდრის წიგნი“,  
 სად იყო „ბიბლია“,  
 როცა „ეფუთი“\* – ეფუთობდა.

1966

---

\* „ეფუთი“ – ბიბლიის წინარქ, პირველი საღვთო და  
 სიბრძნის წიგნი



\*\*\*

არარაობიდან გადმოსული,  
ათასი შურ-ღვარძლით  
დახუნძლული,  
როს გაიფანტებიან ეგ ნისლები,  
ო,  
მაშინ იტყვიან:  
სხვა კუნძული,  
სხვა ქვეყანა იყოთ ეგრისელი.

2014



\*\*\*

ქეიფი?

იცოცხლე,  
ძვირფასია, მაგრამ კარგი მოსავლის  
მიღებას ოქროს მარცვლის თესვა და  
უნდა ხვნა.  
თვალები ცრემლებით რომ გევსებიან...  
გაჩერდი!

გაჩერდი, თუ და ხარ!  
ჩემი ლექსები,  
ლექსებია?!

1999



\*\*\*

ისე,

ვითა კოლხ თრფეოსს,  
აღარა გაქვს ხმა-ზიარი!  
უმადლოდე ბრძენ-კაც ქირონს,  
რომ სიყვარულს  
გაზიარა,  
უსაზღვროს და  
უნაპიროს.

1964



## თალია და შრანია

მითიდან და ლეგენდიდან –  
აღარ მოჩუხებუხებს წყარო,  
მთებმაც თითი გაილოკეს.  
მორჩა!  
აწი აღარ გწყალობს,  
თალია<sup>1</sup> და ურანია<sup>2</sup>,  
ევტერპე<sup>3</sup> და  
ქალიოპე<sup>4</sup>.

2000

---

1,2,3,4 – მუზები.



\*\*\*

გზები –  
ათასწლეულების  
ომითაა დანისლეული...  
ცა იწვის მზის ალმურებით  
და... „კოლხური ფსალმუნები“  
არის აპოკალიფსური.

1998



## ამაღლება

არც მეორე,  
 არც მეექვსე,  
                     მეცხრე ცაზე,  
 ვინც მიიღოგის,  
 ვინაც უფლის ძახილს მისდევს,  
                     მე ვარ იგი!  
                     რადგან ქრისტე,  
 ცად ამაღლდა ლოცვითა და  
                     რწმუნის კიბით\*.

1979

---

\* პადების მიხედვით: პირველ ცაზე სუფეს ადამი, მეორეზე – იესო და მაჟია – (იოანე ნათლისმცემელი), მესამეზე – ოსები, მეორეზე – ედრისი (ენოქი), მეხუთეზე – ჰარსუნი, მეექვსეზე – მუხი (მოსე).



## პითაგორას წყალი შსგამს ქალდეული

ვერვინ დათვლის ასწლეულებს,  
არვინ იცის,  
თუ რამდენი ასაკი ძევს,  
ყოველივეს შავი ფერი ადევს მურის.  
ისე,  
როგორც,

ხეკორძელა – არსაკიძეს,  
პითაგორას წყალი უსგამს  
ქალდეული.

1979



\*\*\*

მინდვრის ლამაზ ყვავილივით,

ჩამავალი მზის სხივები

შეიკონე,

თუმც დღეები პგვანან

მიზანოროპებს\*.

შენი ფსალმუნები –

მწვერვალია ჰელიკონის,

სადაც ქალლმერთი მუზები

ბინადრობენ.

1996

---

\* მიზანოროპი (ბერძ.) – კაცომოძულე



## ლომებთა პრდღვინვა არაიოზონა გენა

დღისით —

მზეს ცხელ შებლს,

ღამით —

მთვარეს უგრილებ კეფას,  
რადგანაც ცაში შენა გაქვს ბინა.

სვამ და სვამ ღოქით —

ლომების ბრდდგინვას

და აყოლებ —

არწივთა ყეფას.

2002



## ვაზისი

ზღვისკარად,  
ჰელიოსის ნაშიერთ,  
ხელთ ეპყრათ მზე –  
უძვირფასესი  
და ედგათ დრო სამაისო.  
კოლხისთვის ყოფილა  
ფაზისი,  
დოდონას და დელფოს სამისნო.

1967



\*\*\*

ზევსის მიერ –  
თეთრ ხბოდ ქცეულს,  
გმტერება ჰერა,  
ოოს.

ჩვენც იჭვები ლამაზ დღეებს  
და სიცოცხლეს გვაზარებენ,  
მაგრამ მაინც უნდა გსდიოთ,  
ჩვენ, იესო ნაზარეველს.

1969




## ადამ კადმოსი

მთიები —  
ლოცვაა უსამანო...  
და ცის საყდარში დგას,  
                  ვით მორჩილი.  
ღვთისმადლმოსილი —  
მთვარე,  
ადამ კადმოსივით <sup>\*</sup>.

1987

---

\* ადამ კადმოსი — ცის ქაცი



\*\*\*

ათასწლეულთა იქიდან –

მოდიან...

და გზას ძლივს აგნებენ –

ციურნი და საამურები...

თან ახლავს ვარსკვლავთა ჰანგები –

უტუს ჯარს „პოლეური ფსალმუნების“.

2007



\*\*\*

ფაზისთან,

ხობოსთან,

ენგურთან

რომ დაჰქრის, მითების ქარია –

აღსავსე მზითა და

იმედით.

კოლხეთი

სამყაროს ქნარია,

ცისარტყელას ფერადი

სიმებით.

1970

\*\*\*

ცა ქმნალუცობს ფერადი  
მნათებით დაკემსილი.

და აწყდება ზღვას დელვა  
უცაბედი,  
მძაფრი, ვით  
ქარიშხალი ცხრათავა –  
ზვირთთა ფაფარაშლილი...  
მთვარე მოჩანს ღრუბლებში  
კვლავ იესოს კვართივით,  
გაწყვეტაზე მისული  
მარიამის ძაფივით.

1974



## პოლემია – XIV ს. ბპ. ვ-აღ.

ამურის ისრით და დალატით,  
კოლხეთს ცა ძირიანად, ფუძიანად.  
ავაჟმე, თავზე ვით დაფეხვია!!!  
ზღვისკარად რომ გდია,  
კუნძი არა,  
მედეას სამისნოს სამფეხია.

1964



## პინდარე და ჰესიძოდე

სხვა ბევრთაგან ელინელთა,  
ისტორიის ნათელ ხსოვნას,  
შერჩა ბრძენი ექვსიოდე:  
პომეროსი<sup>1</sup>,  
ევრიპიდე<sup>2</sup>,  
პლატონი<sup>3</sup> და  
ბაკილიდე<sup>4</sup>,  
პინდარე<sup>5</sup> და ჰესიოდე<sup>6</sup>.

1969

---

<sup>1</sup> – პომეროსი – VIII ს. ძვ. წ.

<sup>2</sup> – ევრიპიდე – V ს. ძვ. წ.

<sup>3</sup> – პლატონი – V ს. ძვ. წ.

<sup>4</sup> – ბაკილიდე – V ს. ძვ. წ.

<sup>5</sup> – პინდარე – V – IV სს. ძვ. წ.

<sup>6</sup> – ჰესიოდე – VIII – VII სს. ძვ. წ.



## გათხვება

უკუნეთიდან ამომავალი

გზის –

შორეული ისმის კაცუნი...

ცამ გარსევლავები კვლავ გადამალა...

და ღამის ტოტზე მჯდარი

გამალი,

განთიადს ყივის თავგადაკლული.

1964



\*\*\*

განთიადისას ქარიშხელის ხმაში  
მოისმის შენი მოთქმა და  
კვება,  
ზღვაო,  
შენ მიწის ცოლო და დაო!  
ალბათ გულს გიღრღნის  
ეჭვები ზევსის<sup>1</sup>,  
და ვითა პერა<sup>2</sup>,  
ნიადაგ დაობ...

1964

---

<sup>1</sup> – ზევსი (ბერძ.) – უზენაესი ღმერთი.

<sup>2</sup> – პერა (ბერძ.) – მისი ცოლი, და.



\*\*\*

ვითარც ბე –  
პოსეიდონის,  
თაყვანს სცემ ისე, ვით  
გენერა მილოსელს –  
შავსა და წითელ ზღვას,  
მკვდარსა და მლაშე ზღვას,  
კამკამა ზღვას –  
მარმარილოსი.

1970



\*\*\*

ფაზისის და პონტოს პირას,  
თლიდი ლერწმის სალამურებს,  
მერე წელი ერთი არა,  
ათჯერ ათას ორასი,  
წერდი „ოქროს ასოებით“  
შენ,  
შენს „კოლხურ ფსალმუნებს“  
ისე, ვითა ხორაქსი.

1993



\*\*\*

ღამეულ ზეცას შემოღობავენ

ღრუბლები –

ელვის ორდობებით,

მაინც ღამდამით ვარსკვლავების

ხარობს მაყრები.

და ვხმობთ „სიცოცხლედ“

მწარე დღეების

წახემსებას და დანაყრებას!

2013



## მარგუს პვინტილიანის

ათასწლეულების მერე,  
ვით სამართლის მცოდნის  
სულში,  
ჩემში სიტყვა იალებს:  
ციცერონის<sup>1</sup>,  
ჰორცენუსის<sup>2</sup>,  
მარკუს კვინტილიანეს<sup>3</sup>.

1967

---

<sup>1</sup> – მარკუს ტულიუს ციცერონი (ძვ. წ. 106-43)

<sup>2</sup> – კვანტიუს ჰორცენალუს ჰორცენიუსი (ძვ. წ. 114-50)

<sup>3</sup> – მარკუს ფაბიუს კვინტილიანე (ძვ. წ. 35, ახ. წ. 30)



## სიგვდილი აქვეა, ახლოს არის

სიცოცხლე ათასფერად მოყვავილე,  
ვით ველი ვარდის და  
შროშანის,

გადაშლილია ახოსავით.  
და მაინც წუ გგონია  
შორს არი,

სიგვდილი აქვეა,  
ახლოს არის.

2011



## ათასოდეულების იძით

ფაზისის და პონტოს პირას,  
ისტორიის მკრთალ სარკეში –  
ვხედავ უფლის მოშიშარებს –  
კოლხურ ცისქვეშ თვალაპყრობილთ:  
ლაზებს,  
ჭანებს,  
ოდიშარებს.

1963



\*\*\*

ქვეი!

ვაჟა ეგრისელო!  
ათასწლეულების მერე,  
რაც შენ გულით უმდერე,  
ლეგენდებში გააცოცხლებს –  
მივიწყებულ ქალდეველებს,  
გ. ი. შუმერებს.


1977



\*\*\*

ყარიბი და პილიგრიმი,  
სანამ რამეს ვიპოვიდი,  
დრო დამდგარა უკვე თესვის.  
და მსურს ვიყო, ვით პოეტი  
მე,  
ჩემს თავზე უკეთესი.

1967



\*\*\*

ამქვეყნად ყოფნა არა ღირს,  
ძველი „ბათინკის“ ლანჩად.  
უჭერ დღეების აღვირს  
დრო-ჟამს,  
რაც შენთან დარჩა.  
რადგან ყოფნაა ქაფი,  
ეძებ მესამე ნაკირს,  
რომელიც არსად არ ჩანს!

2012



ალექს

## ხის მჰკოდრი

(ვარიანტი)

ხის მჰკოდრი კვლავ ხეებს ჭრის და,  
ცულ-ნაჯახის ისმენ კაკუნს,  
შენ კი ისევ დგახარ გიზად\*!  
შენ სიკვდილი —  
რაღას გიზამს,  
სიცოცხლეზე თავგადაკლულს.

1980

---

\* გიზა — უძველესი ქალაქი ეგვიპტეში, რომლის მახლობლად შემონახულია ფარაონების — ხეოფსის (ხუფი), ხეფურენის (ხაფრა) და მიკერენის (მენკაურა) — პრამიდები (ძვ. წ. III ათასწლეული)



## სანამ

ამ ცისქვეშეთში სანამ გვინობია  
მოვარე – იმედად,  
და მზე – ალამად,  
ჩვენი გაჩენის წუთი აკურთხე,  
სანამ უბიწოს  
და საღ-სალამათს,  
ხორცს – მიწა,  
სულს – ცა დაისაკუთრებს.

2009



## ხობისფერი

მაინც უნდა შეაღო —  
უკვდავების კარები,  
ხობისწყალო, ლამაზო!  
თუმც ვერ ავლებ მთებს ტიხარს!  
და ვერ დაედარები —  
ნილოსს<sup>1</sup> და ამაზონს<sup>2</sup>,  
მაგრამ ჩემთვის მეტი ხარ!

1963

---

<sup>1</sup> — ნილოსი — მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარე  
— 6800 კმ.


<sup>2</sup> — ამაზონი — 6665 კმ.



## ორგეონის ხმა

ავისმდომს და მოშურნეს,  
აცივა და აქრჟოლა,  
რადგან,  
შენს „ფსალმუნებში“ –  
ქალდეადან მოსული  
ორფეონის ხმა უონავს.

1969



## გზები

სიცოცხლის მთიდან მოდიან გზები,  
ტანზე აცვიათ სიხარული,  
დარდი და გლოვა.  
და ხელს არ უშლით წვიმა და თოვა.  
ზოგი მცირეა  
და ზოგი დიდი.  
და გზა ყოველი რომში არა,  
სიკვდილთან მიღის!!!

2001



## მისაბი

„ტიციანს უყვარდათ წითელი მიხაკი“  
შოთა ნიშნიანიძე

მზის და ყოფნის მეხოტბე  
იდგა მიუსაფრობის და  
არყოფნის კარებთან,  
რაც მის ლექსებს ატყვია.  
ის წინდაწინ მეწამულ  
მიხაკს დაატარებდა,  
ვით მომავალ ნატყვიარს.

1969



## დურნის ნაპირთან

„კნუტ ჰაფსუნის“ სეხნია,  
მოსკოვში, ვით დამპირდა,  
დღეს დუნაის ნაპირთან  
ვდგავართ... და მწვავს ალმური,  
რადგან „კოლხურ ფსალმუნებს“,  
ოვიდიუს\* ნაზონის  
სტრიქონებს რომ აზომებს.

1981

---

\* ოვიდიუს პეტროვის ნაზონი – დიდი რომაელი პოეტი (ძვ. წ. 43, ახ. წ. 17), რომელიც გადასახლებული იყო დუნაის მხარეში

\*\*\*

ცივ და უსახო დედამიწაზე,  
ცრემლით და სიცხით თვალი  
გვეფსება,  
ყოფნა ვერ უძლებს სულის  
დიდ გვალვას!  
და არვინ უწყის, დღეთა მწყემსები –  
საწყალ ცხვრის ფარას  
საით მიგვლალაგს...

2006



## მზის ჩასვლა

(ვარიანტი)

გარინდდა სივრცე...

მერე ცას ელვამ

ტანს დაუარა, ვით

ქრუანტელმა.

მოულოდნელად უცებ იჭექა –

და სამეგრელოს მთებში –

დარჩელთან,

მზე უფსკრულებში გადაიხეხა  
და დღემ ვერ შეძლო მზის გადარჩენა.

1957



## გალაკტიონი და ქუთაისი

ჭყვიში...

რიონი და „მეფის ჭალა“,

ზედ მობიბინე ფიქრთა ბალახით.

ოქრორეული წვიმა მაისის...

„რა კარგი იყო ქუჩა

ბალახვნის“...

გალაკტიონი და ქუთაისი.

1983



## პოლიტიკური ჟურნალი

ხმები ესმოდა ხეთის,  
დიონის,

ჭვრები მწვერვალებს  
ცამდე აწვდილებს  
და... პონტო როცა ამოიოხებს  
ალბათ,

ღრმად მოხუცს –  
კვლავ ახსენდება,  
ძველი კოლხეთი და სიყმაწვილე.

1963



## მაიას, აცტეკებს და ინკებს

პონტოსპირ ვდგავარ და ხელები –  
მიდევს წარსულის –

ქალდეურ აღვირზე

და ვხედავ, სამყარო ცოდნით რომ აიკლეს...  
ახლა კი სძინავთ და...

გაღვიძებ:

მაიას,

აცტეკებს და ინკებს.

1982



\*\*\*

მადლსა სწირავს არსოგამრიგეს,  
ორაკულებს<sup>1</sup> და  
მენცარებს<sup>2</sup>,  
რომ არ აჰყვა უმეცარებს  
(რაც ღვთისაგან არ იქურთხა)  
რადგან შენ არ აშენებდი,  
კოლხო,  
ბაბილონის გოდოლს,  
ბაბილონის ზიქურათს<sup>3</sup>.

1979

---

1,2. — ორაკული (ლათ) — წინასწარმეტყველი, იგივე — მენცარი (მეგრ)

3 — ზიქურათი (აქად) — საფეხურებად აგებული საკულტო კოშკი



\*\*\*

ვითარც მესიას მახვილი,  
რადგანაც ელვად მოხვედი,  
მიტომ ჟამმა ვერ დანისლა:  
შენი ზღაპრული –  
კოლხეთის  
წარსული –  
მომავალისა.

1979



## აქილევსის ფარი და ორფეოსის კითარა

არგომ ჩამოუქროლა  
მძვინვარ ათასწლეულებს,  
სცილას და  
ქარიბდას,  
ზღვებმა ვერ დაიტანა...  
ლეგენდებზე ეკიდა –  
აქილევსის ფარი და...  
ორფეოსის კითარა.

1982



## პოლემის (ფაზისის) აკადემია

ვინ იყო ის ბრძენეცი,  
უკანმოუხედავად –  
მტერი რომ გააქცია,  
მერე გაანადგურა...  
და კოლხეთი აქცია  
დიდ „მუზათა სადგურად“.

1986



## მელოსით და დელოსით

ეგეოსის ზღვისკარად –  
ცრემლი თვალებს მიოსებს,  
რადგან კოლხურ ხმას ვისმენ –  
მოსულს ლესბოს<sup>1</sup> ქიოსით<sup>2</sup>,  
მელოსით<sup>3</sup> და  
დელოსით<sup>4</sup>,  
და პრეტადან<sup>5</sup> უბერავს ქარი  
საიჭიოსი.

1984

---

1,2,3,4,5 – პუნქტულები ეგეოსის ზღვაში.



\*\*\*

არის ყოფნა და  
არის არყოფნა,  
განა სიკვდილი ყველას  
მოუდის,  
მაგრამ მე ვიცი სიკვდილის ყადრი,  
აი,  
ამიტომ, ვითა გოულდი,  
მე უნდა „მოვკვდე  
სიკვდილზე ადრე“.

2009



\* \* \*

გარდისფრად მოჩანს ცა – შორეული,  
შენ კი მიჰყვები,  
გითარცა რაბი,  
გზა ბნელია და უნდა ინაოოს!  
გასასვლელი გაქვს  
„შავი გვირაბი“,  
რომ „გაღმა“ სოფლად  
დაიბინადრო.

2014



\*\*\*

როცა საუკუნეთა გრიგოლს  
გააქვს გრიალი,  
მეცხრე ცის კაბადონზე –  
მაშინ რწმენის დარია  
და პჰერეტ „ნემსს“ და  
იესოს,  
„ძაფს“ და დედა მარიამს.

2002



\*\*\*

არ ჩანს დარიოს,  
არც ატილა,  
და არც პუნები...  
გიო აქლემების ქარავანი  
მიიზღაუნიან –  
პირამიდების – კუზიანი  
ეგვიპტე და... საუკუნენი.

1981



## მართველ ჩიტი პოლიბრის

იმქვეყნიურ ყოფნაზე –  
უამურ ფიქრებს უნდები...  
როცა დაჰკრავს მიზრაფი,  
წახვალ დაუბრკოლებრივ,  
მაგრამ ამა სამყაროს  
ისევ დაუბრუნდები,  
ჩიტის მართველ –  
პოლიბრის.

2012



## ქალაქ მაჩუ-პიტიუსთან ახლოს

მაიასა და ინკების –  
შოორეულმა ნაშიერმა,  
ქალაქ მაჩუ-პიტიუსთან\* ახლოს,  
მყინვარს არა,  
მაღალ ანდებს,  
ლექსთა მუმიფიცირება ანდე,  
რა გამოვა,  
ათასი წლის  
მერე ვნახოთ!

2014

---

\* მაჩუ-პიტიუ – „ცაში გამოკიდებული“ ქალაქი



## ობაროსთან

თებრონე კი არსად ჩანდა,  
წყაროსთან კი დამსხვრეული,  
თებროს სველი ეგდო კოკა,  
ქს რომ ნახა,  
ცამ გამშრალი  
ტუჩი –  
ელგით გაილოკა.

1961



## პავლე ინგოროვგა

საქართველოს წარსულიდან  
თქმულებებს და  
მითებს მოყვა –  
ლეგენდა და სინამდვილე:  
ზე – „გიორგი მერჩულე“ და  
დიდი პავლე ინგოროვგა.

1989



\*\*\*

ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“.

გიორგი მთაწმინდელი

საქართველოს ცისქვეშეთში –

სიცოცხლის და

სიხარულის

ცრემლი მალე გაწვიმდება.

ქს,

ვითარც თქვა ათასი წლის

წინ,

გიორგი მთაწმინდელმა.

1991



## პრეზიდენტი

ცით და ოქროს ვარსკვლავებით  
სავსე არის მთვარის  
ვარცლი,  
სიგრცეც ოქროს ფერია.  
სიყვარული თმებს უვარცხნის,  
შენი ლექსის პრეზიდენტიას\*.

1966

---

\* პრეზიდენტი – ვრცელი, ბალახოვანი ველი



## შენ ბახსოვას შრმოგა კაცოგრიოგის

უფლის მოსახილველად –  
ცისკენ მიიწევს ლერწი ვენახის  
და ღმერთს მადლს სწირავს,  
ვით იობი...  
შენ გახსოვს ყრმობა კაცობრიობის,  
მაგრამ სიბერე –  
აღარ გენახოს!

2014



## ჩიმზია და ჩაგონის

ბევრი ათასწლეული  
დაგიწყების ბილიკით  
ჩუმად ისევ ჩაივლის.  
მაგრამ მითად დარჩება  
კულტურა –  
მტკვარ-არაქსის<sup>1</sup>,  
ჩიმუსა და ჩავინის<sup>2</sup>.

1966

---

<sup>1</sup> – მტკვარ-არაქსის კულტურა – ძვ. წ. IV ათასწლეული  
<sup>2</sup> – ჩიმუსა და ჩავინის ცივილიზაცია (ანდები) ძვ. წ. IX ს.



\*\*\*

მწამს,

მოგიტევებს არსთაგამრიგე,

„ალილუია“ თუკი შეგზლია,

რადგან ამქვეყნად –

დღიდან გაჩენის,

უფალში შენი სული ბინადრობს,

ხოლო უფალი –

თვითონ შენშია.

2010



\*\*\*

ვარსკვლავების გზებით მავალს,  
შავ ღრუბლებთან  
გიწევს შეხლა!  
ვეღარ ირჩენ შენს იარებს.  
სანამ სამოთხეში შეხვალ,  
ჯოჯოხეთში შეიარე.

2013



## ადამის ტომთა შთამომავალი

უშიში იყო,  
ვითა უხორცო,  
არ ეშინოდა ტყვიის და  
ჯვარცმის.  
და ის ცხოვრობდა –  
როგორც მრავალი  
სხვა...  
და ღმერთიგით ის იყო კაცი,  
„ადამის ტომთა“ –  
შთამომავალი

2013



## ჩვენში

ყოფნის და არყოფნის –  
დღენიადაგ არის ომი.  
და სიმღერა ისმის გედის...  
მაინც ცისკენ ილტვის  
გონი,  
„მაღალი და მაღლად მხედი“.

2014



\*\*\*

შეხსენ კარები პრეისტორიის,  
 და რომ დაუფრთხე ძილი  
 წინაპრებს,  
 ათასწლეულთა მერე რა გრჯიდა?!  
 რად გააცოცხლე შუმერები,  
 კარდუ,  
 ხეთები?!  
 „კოლხურ ფსალმუნთა“  
 ღია ფანჯრიდან,  
 მთელი სამყარო რომ იხედება.

2014



\*\*\*

გვა,

ჩემო სამშობლოვ!

სიყვარული ულევი –

მიკიდია აბედად...

სანამ შენ მეგულები,

სიკვდილს როგორ გავბედავ.

2015



\*\*\*

გვა,

მემატიანევ!

მივიწყებულ კოლხეთზე

და მის ოქროს წარსულზე,

აუ! ქვეყნად რამდენი,

კვლავ გაქვს მოსაგონარი!

ელოდება შენს ძახილს,

სილუეტიც იელვებს:

იოანე ცეცეს და იოანე ზონარას,

პროკოფ კესარიელის.

2001



## 0ს

სატანას და იქედნეს  
მოულოდნელ ღვთის რისხვას  
თაგს ატეხდი ქუხილად!  
თაყვანს სცემდი იდუმალ –  
უსმენელს და  
უხილავს.

1987



## სახალისო პიგლია

მარტოდ ვარ და იმიტომ,  
თუ მიწოდებ იდბლიანს,  
რადგან თავდაპირველად  
ღმერთი, მადლით აღვსილი  
მარტოდმარტო ცხოვრობდა:  
„სახალისო ბიბლია“ –  
გვამცნობს ლეო ტაქსილის.

1969



## ებრისის მთის ას მწვერვალი

ათასეულ წლის იქიდან,  
ვით აღდგომის  
დიდ კუნძულზე,  
ქვადქცეული ვირა კოჩა\*  
ისე,  
შორით ეგრისის მთის –  
ეს მწვერვალი –  
ეგრისელის  
ძეგლად მოჩანს.

1972

---

\* ვირა კოჩა (მეგრ) – მეფე კაცი, აღდგომის კუნძულზე,  
ინდიელთა თეთრი ბელადი (მეოთხე ათასწლეული)



\*\*\*

შორიდან მოსული  
მითიც და ლეგენდაც,  
თქმულიც და  
ართქმულიც,  
სწამთ, რომ არის კოლხური,  
ესე იგი – ქართული.

1962



## პორი რა და ჰარი რა

ათასწლეულების წინათ,  
ჩემი კოლხი წინაპარი,  
მზეს,  
ვით ცეცხლის დაირას,  
უგალობდა დღე-ნიადაგ –  
„პორი რა“ და  
„ჰარი რა“\*

1979

---

\* „სიხარული მოგვეცი, მზეო!“



## დაპრზნება

სულ ბნელში იყავ...  
და ნათელი მაღე იალებს!

რაც რომ დრო გადის –  
შინაურდები!  
სამოცი წელი გარე-გარე  
იხეტიალე,  
კიდევ ცოტაც და...  
სამუდამოდ შინ დაბრუნდები

2001



\*\*\*

კარიღან-კარად ახლა,  
დადის სიკედილის შიში.  
წყურვილს უშრება ხახა,  
კუჭი უხმება შიმშილს“.  
ვაჟა ეგრისელი

რადგან ცეცხლი მოპარა,  
მიტომ აწყურ-აშიებს  
ღმერთი,  
იაპეტის ძის —  
ა მ ო რ ა ნ ი ს ნაშიერთ.

1969



\*\*\*

არ გელევა დღე სადაგი,  
ცრემლი გახრჩობს  
მეზვრის მტევნის!  
რადგან სეტყვას,  
ჭექა-ჭუხილს –  
ცა ქადაგებს,  
ვით ილია თეზმიტელი.

1987




\*\*\*

შენ

დღეებმა სიკვდილთან,  
ვერ იქნა,  
ვერ გაგყარა!  
რადგან, ვითა მაცხოვარს,  
გეძახოდა ბეთლემი.  
და... „ფსალმუნთა არმია“,  
ვითა დმურთმა სამყარო,  
არაფრისგან შექმენი.

2002



## სამება

სანთლებს უნთებს ბასილ დიდი,

უფლის რწმენის რიგი

რიგობს.

ცა –

დვთის მადლის ცრემლში აზელს –

ლოცვით დაღლილ –

ორ დიდ გრიგოლს –

ნოსელსა და ნაზიანზელს

2004



## იქმენ ნათელი!

შენი წიგნი – არფაა,  
სტრიქონები –  
სიმები,  
ნაფერი მზის არილით,  
ცის ჩარჩოში ჩასმული,  
ეოლოსის ქნარივით.

1964



## ამ სამყაროს ქმნილა ქრისტე

რაც ქვეყანა ლამაზია,  
საუცუნე ერთურთს მისდევს,  
ათი არა,  
ასჯერ ასი...  
ამ ქვეყანას ქმნიდა ქრისტე,  
როგორც მამის თანაარსი.

1964



\*\*\*

მოსვლის დღიდან გამჩენმა  
მზე და მთვარე  
ხელო-მოგცა –  
ბურჭულად<sup>1</sup> და არგუნად<sup>2</sup>  
და გაშორა გზა – მონის.  
უკვდავება გარგუნა,  
ვითა ადამ კადმონის<sup>3</sup>.

2001

---

<sup>1</sup> – ბურჭული (მეგრ.) – ცული

<sup>2</sup> – არგუნი (მეგრ.) – ნაჯახი

<sup>3</sup> – ადამ კადმონი – ანდროგენული პირველი (ზეციური) კაცი დათის ხატად შექმნილი (და არა ევას ქმარი)



\*\*\*

საიდანლაც ხმა ისმის –  
 „არაქვეყნიურ დარღით გადამწვარი პოეტის,  
 „სულის რევოლუცია“ –  
 ადარა მწამს იოტი,  
 რემბოსი და ლაფარგის,  
 ვერლენის და ბოდლერის,  
 გოტიეს და  
 გიოტეს“.

1979



\*\*\*

მოდალატე და ორგული,  
რისხვას და  
შურისძიებას,  
ვერავინ გადაარჩინოს:  
— გელიყარის კლდით ისროლოს,  
ვითარცა ყორანაშვილი,  
ბარათაშვილმა საჩინომ.

1974



## ენძიღუ და გილგამეში

წარსულიდან შორეთის –  
ისევ მესმის ვედრება,  
მზიან,  
მაგრამ ბნელ დამეში,  
თვისტომს ისევ მეძახიან –  
ლურჯ ჭალიდან  
პედრების,  
მუხლმოყრილი ენქიდუ და  
გილგამეში.

1999



\*\*\*

შენი პოეზიაა –  
კართაგენი<sup>1</sup>,  
მცრის რისხვას ახლოს რომ  
არ იკარებს,  
რადგან მზის ემბაზში განიბანე,  
თუმც ბედი გამოგყვა  
ჰამილკარის<sup>2</sup>  
და რაინდობა ჰანიბალის<sup>3</sup>.

2008

<sup>1</sup> – კართაგენი – ძველი ქალაქი – სახელმწიფო ხმელთაშეკაირეთში ჩრდილო აფრიკის ტერიტორიაზე (ძვ. წ. IX ს.)

<sup>2</sup> – ჰამილკარი – კართაგენის მხედართმთავარი

<sup>3</sup> – ჰანიბალი – ჰამილკარის ვაჟი, კართაგენის მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე (247-183)



## გარაგადინი

სიცოცხლეში სიკვდილს რომ  
 თვალები გაუსწორო,  
 აღარ არის ადვილი!  
 მიწა მკვდრებს ვერ აუდის,  
 ვეღარ შველის „უსწორო“<sup>1</sup>,  
 „მოქლე კარაბადინი“<sup>2</sup>  
 და ვერც ბატონიშვილის  
 „იადიგარ დაუდი“<sup>3</sup>.

1969

<sup>1</sup> – „უსწორო კარაბადინი“ – ავტორი ქანანელი (XI ს.)

<sup>2</sup> – „მოქლე კარაბადინი“ – ავტორი პ. კლაპიტონაშვილი (XIX ს.)

<sup>3</sup> – კარაბადინი – ძველ საქართველოში სამკურნალო წიგნთა საერთო სახელწოდება



## ორი გიორგი

ქართვლის მოშურნეებმა,  
თუმცა ბევრჯერ დასწყევლეს,  
მაინც ადგას ნათელი –  
მწერალ ორ დიდ გიორგის –  
მოდრეკილს და  
მაწყვერელს.

1969



\*\*\*

მეხიო გადახნულ დამის მინდორზე,  
ლურჯად შრიალებს  
სიჩუმის ახო,  
მთვარე არ უზის ვარსკვლავთა ქერას.  
შენ კი, პოეტო! –  
მიწაზე სახლობ,  
მაგრამ ზეცისკენ გაგირბის მზერა...

2001



\*\*\*

პოეზიის ზღვა ბობოქრობს,  
ლრიანცელი არის ზეირთთა,  
დღეს  
დამისგან არ არჩევენ.  
შენ ხარ ერთი...  
დანარჩენი,  
არა ღირს შენს –  
„ხამლთა ტვირთად“ (მათე 3,4)

1979



\*\*\*

აღარ ყივიან დილას მთიები,  
 ელვით შემოწნულ  
     დამის ბოსელში,  
 ყრია ღრუბლების შავი ნაკელი.  
 და შორით,  
 სადღაც,  
 ისე ჩანს მთვარე,  
     თითქოს ცის შარგალს  
 მუხლისთავზე  
     მზემ დააკერა.

1962



\*\*\*

იგი ჯუჯაა თავზარდამცემი,  
სამყარო შიშით თავზე  
ადნება,  
ბნელია, მაგრამ მაინც ელვარებს.  
რა ევერესტი,  
ან რის ანდები,  
სიკვდილია ყველაფრის მწვერვალი.

2003



\*\*\*

ეს იყო მაშინ,  
ჟამს ხაზარების,  
შურს და სიძულვილს რეკდნენ ზარები,  
პყვება ასული აბიათარის:  
მიკვირს,  
გიო წინათ, ახლაც,  
გითა სომებს თათარი,  
„ქართველს“  
მეგრელი რად ეზარება?!

1991




## გვერდი

ყურს უგდებს მსოფლიო  
და მთელი სამყარო  
ბუნებას –  
სუფლიორს\*

1961

---

\* სუფლიორი (ფრანგ.) – მოკარნახე



\*\*\*

როდესაც კუბოს მიწას აყრიან,  
მერე საფლავი როს იბეკნება  
(თვალში ჩავცემი სიკვდილს  
ავყიას).

წამს, ჩემი თავი წარმომიდგება  
და მე წინდაწინ მტკიცა  
ნები...

2004



ALLEN

## თმობვის ციხე

წარსულიდან გადმოგვყენებს  
შებლ შეკრული ციხე-თმოგვის!  
დიდ თმოგველის\* სჯერა ფიცის.  
უფლის გზაა –  
შეუცნობი,  
ხოლო ქაცის – ყველამ იცის.

2001

---


\* სარგის თმოგველი – მწერალი, მეცნიერი, ფილოსოფოსი, რიტორი (XII – XIII სს.)



\*\*\*

იმდვრევა სივრცე...  
და სოფლის ბოლოს  
გაურბის მთვარე,  
გამთენისას ამოვარდნილ –  
გაანჩხლებულ ყივილის  
ქარებს.

1960



## ზღვაა შენი ეძემ-პარი

ქარიშხალთან ბრძოლით დაღლილ  
ზღვას,

კუნძული კოპად აზის.  
და ზეირთი გლეჯს ქარის აღვირს,  
ვით ათასი წლის წინ ლაზის –  
ზღვაა შენი  
ეძემ-პარი.

1977



## გილგამეში, ჰეროპლე და ჰერძულესი

ათასწლეულების მერეც,  
ლეგენდიდან ისევ მესმის:  
ვითა ბადრი,  
უსუპი და ამირანი,  
ქალდეველთა ღმერთს ფიცულობს:  
გილგამეში,  
ჰერკულესი.

1970



\*\*\*

დედამიწის პირველ მხილველთ,  
უფლის მადლით მოსილებს,  
„ძველ წიგნებში\*“ ქალდეველებს  
სძინავთ...  
სჯერა ნოსტრადამუსს,  
იოანე ზოსიმეს.

1971

---

\* ძველი წიგნები – იგულისხმება: „ეფუთი“ „გრაალი“, „ოქროს საწმისი“.



## ქართველები

კაცობრიობას მიუძღვიან

წინ ლამპრებით –

(კარგებია თუ „ოხრებია“!!!),

ქართველებო! –

ოქვენი წინაპრები –

უფასელესი კოლხებია!

1963



## პაგილონის გოდოლი

უპირველეს ყოვლისა,  
ბაბილონის გოდოლი  
ან მარესგან იკურთხა!  
კოლხური მზე იქიდან –  
ამობრწყინდა,  
აღმოხდა!  
მერე? ჩაქრა და...  
არვინ უწყის რა მოხდა!!!

1971



\*\*\*

სადღაც დასალიერში

გაიელვა ვარსკვლავმა

და ცას ჭირი მოჭამა.

მერე მამლის ყივილმა

მთვარე –

დაახოჭავა.

1979



## თავს უშველე, გიორგი!

გიორგი სააკაძე ბააკა ხერხეულიძემ ქართველ  
შეოქმულთა სიკვდილს გადაარჩინა.

ვერ ამრთელებს –  
ფლოქვების ხმა იორდის!  
ხუთი საუკუნეა,  
ბააკა ხერხეულიძის  
ხმა რომ ესმით ქართველებს:  
„თავს უშველე, გიორგი!“

1979



## 100 ქალღეგმები

მათ დახურეს წარსულ დღეთა დარაბები  
და რომ მოდგნენ პონტოს  
ნაპირს –

ჩაძირული ატლანტიდის ტალღებია:  
– ასურები,  
ბერძნები და არაბები,  
ისე, ვითა ურიები,  
ძველ კოლხებთან –  
ბალღებია!

1973



## ტაია

მტერი ისევ აოხრებს –  
დიაოხებს,  
ტაოხებს,  
„ეა“-სა<sup>1</sup> „აია“-ს<sup>2</sup>...  
მაგრამ ბუზსაც ვერ უფრენს  
დიდ ხელმწიფე ტაიას<sup>3</sup>.

1964

---

1,2 – „ეა“, „აია“ – პრეისტორიული კოლხეთის ქალაქი-სახელმწიფოები

3 – ტაია – კოლხეთის მითიური მეფე, ქუთაისის („პუ-ტაიას“ დამაარსებელი (მეორე ათასწლეული))



## ელი ცათა სასუფეველს

სიყვარულის ყვავილს თესავ,  
ეპალს მაინც ვერ  
იცილებ!  
დაფნას გზებზე სხვას უფენენ...  
უფალს თვალში –  
შესციცინებ,  
ელი ცათა სასუფეველს.

2009



## სპერის ზღვა

დელავს და ბობოქობს

სპერის ზღვა:

— ვითარც კოლხებს და

სასპერებს,

ქართული სულისდგმა თანდევენ —

ამოსულთ ატლანტის ფსკერიდან

და წარლვნას გადარჩენილ

ქ ა ლ დ ე გ ა ლ თ!

1992



\*\*\*

ასე არის –  
კაცი მალე  
მტრის ქებასაც ეჩვევა,  
ისე, როგორც სააკაძეს,  
ხოტბას ასხამს –  
დელა-ჭალე,  
და იბრაჟიმ ფეხევი.

1972



## მამულო

მამულო!

შენზე სათაყვანებლად  
მუხლმოდრეკილი იქ აველი,  
სადაც სიყვარულით მოცულები,  
ხელაპყრობილი –  
ლოცულობენ  
რაფაელი<sup>1</sup>,  
გაბრიელი<sup>2</sup> და  
მიქაელი<sup>3</sup>.

1971

---

1,2,3 – მთავარანგელოზები



\*\*\*

ქვეყნად ქრისტეს მოსვლამდე,  
ათი ათასწლეულის  
ადრე,  
ღვთისგან იკურთხა:  
ჰ ე ლ ი თ ს ი ს შვილობა,  
შენი მოვარის ზიგურთა.

1976



\*\*\*

ვითარცა დავით ფსალმუნთმეტყველი,  
შენც  
შენს ბიბლიურ  
„კოლხურ ფსალმუნებს“  
მარადისობის გვირგვინზე ართავ.  
და გსურს შენი ლოცვა  
ესმოდეს –  
ცასა და მიწას,  
ყრუსა და მართალს.

1989



## ჰომასა და ჰამოას

ეამმა წუთისოფელთან

გადავა და

გაომა...

და გასმევდა ნიადაგ –

უკვდავების სასმელებს:

, „ჰომა“-სა და

, „ჰამოა“-ს.


1966



\*\*\*

მოულოდნელად,  
სადღაც აღსავლით,  
ქუხილის ხმაზე გაიბზარა  
მთვარის ფინჯანი.  
ღრუბლის ულაყი მთებში  
წვიმის კვიცებს მოდენის.  
ელვა და მეხი ერთ-მეორეს  
მკლავს უსინჯაგენ,  
და უბედური ცრემლის ღვრაა  
მოსალოდნელი.

1964



\*\*\*

რადგან წუთისოფელი –

ცბიერი და

უნდოა!

დღენიადაგ ქცადე –

სიტყვის თქმა რომ მოასწრო.

სულ მოკლედ...

და ბუნდოვნად!

2007



## არმაზსა და ბაგინეთს

მერვე საუკუნის მცხეთას,  
მერმე  
არმაზსა და ბაგინეთს,  
ფიქრის თვალი რომ მოვდარი,  
მაშინ არაბ მურვან ყრუს\* კი  
სულ ცოცხალ-მკვდარი  
ვაგინე!

1961

---

\* 736-738 წლებში არაბთა სარდალმა მურვან ყრუს მცხეთა დაარბია და მიწასთან გაასწორა ბაგინეთი და არმაზი. მემატიანე



## ზილვა: ქრისტე გეთანიაშვილი

ვით ცბიერი მღვდელმთავარი,  
 ცისქვეშ უფლის სასწაულებს,  
 უამი ისევ მიმალავს,  
 მაგრამ მაინც ვხედავ ქრისტეს,  
 მკვდარ ლაზარეს აღდგინებად  
 ბეთანიას მიმავალს.

1961



## ობოლა, პედელა, მედეგა

უხმობს გელათს

ხატი\* ოქრომოჭედილი,  
ათასი წლის შემდეგაც  
და მზეც შავად მობოლავს...  
მსსნელს დაეძებს –  
საწყალ თვალით „მედეგა“,  
„პედელაც“ და  
„ობოლაც“.

1966

---

\* ხატი – იგულისხმება ხახულის ძვირფასი ხატი, რომელიც თამარ მეფემ გელათს შესწირა. ხატის ლამაზ თვლებს საპუთარი სახელები ერქვათ: „ობოლა“, „მედეგა“, „პედელა“, „ობოლა“, „პედელა“, „ობოლაც“.



ପ୍ରକାଶକ ନାମ ଓ ଠିକ୍କା

ხე – სიცოცხლის შრიალებდა...  
ყოფნა იყო სამური  
და პყვაოდა კიდით-კიდე,  
ქალდევგალთა ქალაქები:  
ნიბურ – ერიდუ და  
ური.

1972



**1992 – 2008**  
**(ოშეთ-საქართველოს ომი)**

აფხაზეთს და სამაჩაბლოს  
ტორებს ადებს...  
და ისევე,  
ზღვა და მთაში დანავარდობს!!!  
მწამს,  
საფლავში ვერ ისვენებს,  
ის,  
ვინც კრავი მგელს რომ  
ანდო.

2008



\*\*\*

დიოდა ქამი ბრძოლით და

შფოთით,

ზოგჯერ დღეები ედგათ მზიანი,

მაგრამ მოვიდა ალექსანდრე

მაკედონელი:

„მოსრნა ყოველი აღრეული

ქართლს შინამყოფი.

და დაატევნა ნათესავნი

ქართლოსიანნი“.

1973



\*\*\*

არწივების ფრთებით დამფრთხალ

ჯიხვებს –

კლდეზე გადაფრენილთ,

მთათა სიყვარული მსჭვალავთ,

და ასევე შავ-თეთრ არაგეს,

ჩარგლულას და

დუღის ჭალას.

1971



\*\*\*

ისევ ბნელა!!!

არ ნათელობს –

დრო – ცბიერი,

გველაძუა.

და მე მიკვირს – ვით მამა

შვილს,

ძველ ქოლხეთი,

საქართველოს,

ასე რაღამ შეაძულა?!

1991



\*\*\*

მკვდარი საუკუნენი  
„კოლხური ფსალმუნებით“  
რადგან თვალებს ახელენ:  
მიტომ კოლხეთს, ვით ადრე,  
ამშვენებდეს ეგროსის –  
დიდ ეთნარქის სახელი.

1996



## ქოველიგე ამაოა

ცა ათასფრად ყვავილობს,  
ჰოი,  
რა საღამოა!  
მაინც მესმის შორიდან –  
დიდი დავით მეფის ძის ხმა,  
დიდ – ეპლეზიასტის –  
„ამაოება ამაოებათა,  
ყოველიგე ამაოა“.

1971



## ქართული მაკატა

მთვარის აკვარელით და  
ცეცხლოვანი მზის ფუნჯით  
კოლხურმა ცამ დაგხატა.  
პონტომ ონწე<sup>1</sup> გირწია,  
როგორც ქართულ –  
მაკატმას<sup>2</sup>.

1999

---

<sup>1</sup> – ონწე (მეგრ.) – აკვანი

<sup>2</sup> – მაკატმა (სანსკრ.) – ინდურ მითოლოგიაში: „მსოფლიო სული“, „დვორაებრივი ადამიანი“.



## ნატივობა

კავკასიონის ქედები,  
სადაც ცის კარებს კეტავენ  
და სადაც მეიმედება –  
მთათა მაღალი კეტამი,  
რომელზეც შავი ლოდი დევს,  
იქ იყოს სამარადისოდ –  
ჩემი საფლავი ნეტავი!

2014



\*\*\*

მტერი,  
რამდენი ათასი  
წელი გვებრძოდა ბოროტი,  
რომ ჩვენი ტანჯვა ენახა,  
მაგრამ,  
ვით კახეთს ვენახი,  
ვერ ამოგვმირკვეს ბოლომდე.

1989



## გაღმი ჰეპსირიდების

წარსულ ათასწლეულებს –  
კოლხეთს ზვირთად მიაშლი...  
გიო პერაკლე, მიდიხარ –  
პირინეის კუნძულზე –  
მშობელ იბერიაში  
(დრო-უამს არ ერიდები!)  
„მოსაკრეფად ვაშლების“  
ბადში ჰ ე პ ს ე რ ი დ ე ბ ი ს.

1973



## გიხმობს პრეტა

მკვდარი ათასწლეულების  
ლია კარებს ვედარ პეტავ!  
მზეში მიხვალ,  
მზით მოსილი.  
დამარხული გიხმობს კრეტა  
და კულტურა –  
მინოსური.

1981



\*\*\*

ცის მოყვავილე წალკოტში,  
სანამ ვარსკვლავი –  
ვარსკვლავობს,  
მზე – მზეობს, მთვარე – მთვარეობს...  
შენც აკაკივით ღმერთსა სთხოვ:  
„შენს მიწას მიმაბარეო“.


2015



## გაზაფხული

ციცქნა,  
ფეხებმოღრეცილი,  
დამალვია ბუჩქთან ზამთარს  
ტყუპისცალი ია...  
საფუტკრესთან გაუმართავთ  
ფუტკრებს რია-რია...

1960



\*\*\*

მთიდან უცხო რამ ხმა ისმის,  
 არავინ იცის, ვინ არი?!  
 ლოცვად მოჰყვება შავ არაგვს,  
 სალი კლდეების ნაშალი.  
 შორით ჩანს –  
 ბროლის მყინვარი,  
 როგორც ტაძარი ლაშარის.

1971



## ორმოცი

ხორცი რჩება...  
მკვდრის სული კი,  
შემდეგ  
ბოლო პანაშვიდის,  
ცისკენ მიდის...  
მიდის...  
მიდის –  
დღე და დამე ორმოცი,  
სადაც ელის საცხოვრისად –  
ცის – ორმო ან,  
ორმო – ცის.

1979

## სცილა და ქარიბდა

აქ მათთვის ჯოჯოხეთია  
 და არც იქ ელიოთ –  
 ცხონება,  
 არ არს საშეელი დარიბთა:  
 უპოვართათვის ცხოვრება –  
 არის სცილა და  
 ქარიბდა.



## ქალდეველები

თან ახლდათ ნინველი ნათელი  
და როცა მათ გზაზე  
შებინდდა  
(სკასავით სულ ახალნაყარი)  
მოვიდნენ –  
ზაგროსის მთებიდან,  
და დახვდათ შიშველი –  
სამყარო.

1998



## ၂၀၁၁ မာრမိဝင် လျှောက်ချုပ်

გითა წინათ,  
ზღვისკარად,  
დამეს თეთრად ვუთევდი  
მთვარეს, ვერცხლის დაირას.  
და ვით მარტინ ლუთერი,  
ამბობ: „აქ ვდგავარ და  
არ ძალმიძს სხვანაირად“.

1974



\*\*\*

წარმართ „მეფეთა სიას“  
იქნებ სადმე მიაგნონ,  
ან მათ „სანთელთამკმეველ“ –  
ევსტათ ანტიოქელს და  
ან გრიგოლ დიაკონს.

1979



(პ-ნი), (პ-ოვ), (ი-ოტა)

ასი ათასწლეული —  
ქართული ცის ქვეშეთში,  
ვით მტკვარი და ფაზისი,  
სულ ბაჯაღლოდ დიოდა —  
სიტყვა —  
უძგირფასესი:  
(ა — ნი),  
(პ-ოვ),  
(ი-ოტა)

1979



\*\*\*

სიცოცხლეს და სიხალისეს –

უპოვარს და

მონას მატებ...

სიფხიზლე გაქვს მეველის.

თუმც ქართველი შენ ხარ ისე,

როგორც ფრანგი – ბონაპარტე,

ქრისტე –

იუდეველი.

1987



## შენი ლექსი

შორეული წარსულიდან

მომდინარეა...

გზადაგზა არ ეკიდება ხავსს.

შენი ლექსი –

წყალქვეშა მდინარეა,

ოწყება და...

სადღაც უერთდება ზღვას.

2012



გალილეა,

იშდეა,

სამარია

აგერ,

ოცი საუკუნე,

გვესიტყვება უფლის ენით –

გალილეა,

იუდეა, სამარია...

ვით სამება, ერთია და

ქრისტეს რწმენის

მარადისი სამარეა.

1971



## პოლიტიკა

უიღბლოა კოლხეთი,

თუმც...

ვითომც და „მოყვრები“,

ეძახიან იღბლიანს

და უძღვნიან ტროპარებს,

სწორედ იმათ მოპარეს

ეფუთი,

ვით ბიბლია.

1969



\*\*\*

„ერთმანეთი გიყვარდეთ!“  
ქრისტე

ათასწლეულების მერე,  
ახლაც ესმის მთელ სამყაროს,  
ბიბლიის თუ  
იორდანის  
ნაპირიდან ხმა ქრისტესი:  
„ართიანი გიორდანი“\*.

1972

---

\* „ართიანი გიორდანი“ – (მეგრ.) ერთმანეთი გიყვარდეთ!



## მზის ბონი

ზღვები სალ კლდეებს თავებს  
ახლიან,

მთები დგებიან თავდაყირანი.  
ასწლეულები დავიწყების გზებით  
მიგორავს...

შენ  
ცისქვეშეთში ხარ დაბმული,  
ვით ამირანი,  
გვირგვინად გადგას თავზე  
მზის გორა.

1969



\*\*\*

სიყვარულის ცის ურმიდან  
დავარდნილი შენი სიტყვა,  
სამსჯავროზე წარბს არ შეხრის,  
რადგან ნაყოფია მუზის.  
ამირანიც ძვრას ვერ უზამს,  
მძიმეა,  
ვით ამბრის ფეხი.

1968



## სხვა ზარი

ვინ მოთვლის საუკუნეებს,  
მოსავთ წყვდიადი საზარი...  
და, აი, ახლა ღვთისშვილებს –  
ქრისტეს  
ამირანს,  
ლაზარეს,  
სულ ახლო უხმობთ –  
სხვა ზარი!

1991



ALBERT

## ფრთხები

მიწას,  
ვით დედას, გულში იკრავდი,  
მაინც იდუმალ აკეთებდი  
ცაზე არჩევანს.  
მიგაქანებდა ღამის იქით  
მოვარის აფრები.  
შენ ფრთხები გქონდა –  
დღიდან გაჩენის,  
მიტომ არ გეყო სივრცე საფრენად.

1998



## 8012 0 1 7 1 0 8 0 1 6 0

წარსულის ცოდვა მოინახიოს,  
ცოდვილს ამაზე,  
აღარ უნდა უთხრა უარი.

და,  
ვით იტყოდა ნოსტრადამუსი:  
— თუკი სიწითლემ კაცს სახეზე  
გადაუარა,  
ეს იმას ნიშნავს —  
შერჩენია სინდის-ნამუსი.

1978



## ელისა და ელია

აქ მეფის მოძულნე,  
კარმელის მთის ფერდობზე,  
ხუთი ათასწლეულის მერე  
ისევ ელიან:  
ღვთით მოვლენილ მენცარებს –  
ელისეს და  
ელიას!

1977



## სიცოცხლე

გავჩნდებით...

და მთელი ცხოვრება,

ამაოდ მიგსტირით

დღეებს, —


ჩიტებივით გაფრენილს...

სიცოცხლე?!?

სიკვდილისთვის მზადებაა,

სხვა არაფერი!!!

2006



\*\*\*

ვით მარტუს ავრელიუსმა,  
უნდა იცოცხლო ისე,  
რომ მიმოიხილო ერთიან –  
ზესპნელ-  
ქვესპნელი-  
შუასპნელი.  
და დღე ყოველი გეგონოს  
ბოლო და  
უკანასპნელი.

1999



\*\*\*

დაცემის კი არა,  
ამაღლების,  
ზეობის,  
სხვას კი არა,  
საგუთარ  
თავს უნდა უტარებდე –  
გაკვეთილებს –  
ზნეობის.

2010



## ენა

ვითარცა ცას ვარსკვლავები,  
დედამიწას ღვთივნაკურთხეო  
ბევრი ენა ამშვენებს  
და ეს ენა ხალხს –  
უკვდავყოფს,  
ანდა გადააშენებს.

1999



გაეგო!

**მეგ ჰელიოსის**

(ვარიანტი)

კოლხურ აკვანს გირწევდა

დედა! —

პონტო ევქსინის,

ფაზისიც და ნილოსიც.

და დღეს შენ ხარ

იმედი

მივიწყებულ კოლხეთის,

ისე, ვით აიგტი, —

გაეგ! — ძეგ ჰელიოსის.

2014

## სიყვარული

სიყვარული ცეცხლი არის  
და უშრება სიცხით ხახა,  
მზის კერასთან წევს  
დაღლილი.

სიყვარული ბევრს უნახავს –  
ეჭვის ჭიით  
გულდაღრღნილი.

1962



## მიგელ ღე სერგანტეს სააგედრა

გიყვარდეთო ერთმანეთი,  
ვით ვაჟამ,  
უფალს შეავედრა.  
ეს მე ვარო –  
ესპანეთი,  
ოქვა –  
მიგელ ღე სერგანტეს  
საავედრამ.

1971



## ბიბანტების მხრებზე იღებ

სხვასთან არა,  
პირად „მე“-სთან,  
დღე-ნიადაგ გქონდა ომი...  
ცა დალაშქრე კიდით-კიდე.  
და შენ,  
როგორც ნიუტონი,  
თუკი სხვებზე შორს ხედავდი,  
გიგანტების მხრებზე იდე!

2002



## სარჩევი

ფსალმუნი.....	25
*** (ხიდან).....	26
*** (ლოცვად მოუსხამს ზეცას მთიები).....	27
*** (მარადიულ ცის ტილოზე).....	28
*** (ვით მზე დიღას).....	29
*** (სადღაც ათასწლეულების).....	30
*** (როს მზემ დასავლით თვალი მიღულა).....	31
*** (რა ვქნა!).....	32
*** (სიცოცხლე).....	33
*** (ხელთ ეპყრა კოლხურ მთვარის ნაჭერი).....	34
რაფაელის პარნასი.....	35
ხილგა: ხვთისშვილები.....	36
*** (ჭკუას ვარიგებ...).....	37
ლაზარე.....	38
სამება.....	39
*** (იოვლი მკერდზე).....	40
*** (ვითა სკა ახალნაყარი).....	41
ალ-ქინდი და ალ-ღაზილი .....	42

*** (წუხილად ცაში ასული) .....	43
იახსარი და ბეღელა.....	44
*** (ზვირთებზე ამხედრებული) .....	45
ტაო-კლარჯეთში.....	46
ვით კოლხი ქრონის .....	47
*** (უსასრულობაში).....	48
ჯვრები: გუდან-ლაშარის .....	49
ქაბალე .....	50
*** (ვითარც ადრე) .....	51
*** (რომ დაგავიწყონ წარსული) .....	52
*** (ეზოთერიკულს მისდევდა ბილიკს...) .....	53
*** (იყო სარგონ მეორე) .....	54
*** (მიიმდერის სიყვარულს) .....	55
ბენეფიციუმი.....	56
არამხეტე – ამირანი – პრომეთე .....	57
*** (სადღაც მარადისობის) .....	58
*** (მარად მედინი მზის და) .....	59
იასპით და აქატით .....	60
*** (ყველა გზა ალბათ იქ უხვევს).....	61
*** (მიმწუხერისას წუხელ მოვარემ).....	62
*** (ისე, ვით სიცოცხლე) .....	63
*** (ვითარც ათასწლეულების) .....	64
*** (არაგვი დელვას დაგვპირდა).....	65

ამირსპასალარი.....	66
მიგამქარიო .....	67
ქამანდარი .....	68
*** (ადამის ძის ისტორია).....	69
*** (გაჩენის დღიდან სივრცეებს).....	70
*** (დრუბლების ზვირთვები ღელავენ) .....	71
ჩე გოლა.....	72
*** (მწერისას ცის ბილიკებით) .....	73
*** (სიცივის კიბეებით ჩამოდის ზამთარი) .....	74
*** (ვითარც კოლხურ მზის ნაშიერს).....	75
*** (ფაზისის არა).....	76
*** (ჩამავალი მზის ხვინჭა სხივები).....	77
*** (აბაზებმა და მაჰმადხანებმა) .....	78
*** (ეს სამყარო მთელი) .....	79
*** (მეხი – მეხს მისდევს).....	80
*** (მიწისგან არა) .....	81
*** (სიცოცხლე არა) .....	82
სვანეთში.....	83
ბორხესი და მარკესი .....	84
*** (ყოფნაც და არყოფნაც) .....	85
*** (მწერის კართან ხეები) .....	86
*** (ყურშა ვარ ყოფნის ერთგული) .....	87

თსირისი და იზიდა.....	88
*** (ქვეყნის ორომტრიალში).....	89
*** (შოორ წარსულში პელაზგი).....	90
ქართული სული.....	91
*** (მზის შვილი ხარ და სამყაროს).....	92
ხილვა: ქსენოფონტე ფაზისთან.....	93
*** (ზღვის მეუფობამ და).....	94
სკვითები ლაზიკაში.....	95
ჩილდირთან და მაკრიალთან.....	96
*** (ყოფნის ტყეში გჭვრეტ).....	97
დისტიქი.....	98
*** (უბადრუკია).....	99
დხარმა – რადქა.....	100
*** (მნათთა კვეს-აბედს გაჰკრავს).....	101
*** (სამყარო კოლხ-იბერთა).....	102
*** (არარაობიდან გადმოსული).....	103
*** (ქეიფი?!)	104
*** (ისე).....	105
ამაღლება .....	106
*** (გზები).....	107
თალია და ურანია.....	108
პითაგორას წყალი უსვამს ქალდეური.....	109
*** (მინდვრის ლამაზი ყვავილივით).....	110

ლომების ბრდდვინვა, არწივთა ყეფა.....	111
ფაზისი .....	112
*** (ზევსის მიერ).....	113
ადამ კადმოსი.....	114
*** (ათასწლეულთა იქიდან).....	115
*** (ფაზისთან).....	116
*** (ცა კეპლუცობს ფერადი).....	117
კოლხეთი – XIV ს. ძვ. წ. აღ.....	118
პინდარე და ჰესიოდე.....	119
*** (ამქვეყნად ყოფნა არა ღირს).....	120
*** (განთიადისას ქარიშხლის ხმაში).....	121
*** (ვითარც ძე).....	122
*** (ფაზისის და პონტოს პირას).....	123
*** (ლამეულ ზეცას შემოღობავენ).....	124
მარკუს კვინტილიანეს.....	125
სიკვდილი აქვეა, ახლოს არის .....	126
ათასწლეულების იქით .....	127
*** (ეპეი!) .....	128
*** (ყარიბი და პილიგრიმი) .....	129
გათენება .....	130
ხის ჭრელი .....	131
სანამ .....	132
ხობისწყალი.....	133

ორფეოსის ხმა.....	134
გზები.....	135
მიხაკი.....	136
დუნაის ნაპირთან.....	137
*** (ცივ და უსახო დედამიწაზე).....	138
მზის ჩასვლა .....	139
გალაკტიონი და ქუთაისი.....	140
პონტო.....	141
მაიას, აცტეკებს და ინკებს .....	142
*** (მადლსა სწირავს არსოგამრიგეს) .....	143
*** (ვითარც მესიას მახვილი).....	144
აქილევსის ფარი და ორფეოსის კითარა .....	145
კოლხეთის (ფაზისის) აკადემია .....	146
მელოსით და დელოსით .....	147
*** (არის ყოფნა და).....	148
*** (ვარდისფრად მოჩანს ცა – შორეული) .....	149
*** (როცა საუკუნეთა გრიგალს).....	150
*** (არ ჩანს დარიოს) .....	151
მართვედ ჩიტი კოლიბრის.....	152
ქალაქ მაჩუ-პიქჩუსთან ახლოს.....	153
წყაროსთან.....	154

პავლე ინგოროვგა.....	155
*** (საქართველოს ცისქვეშეთში) .....	156
პრერია.....	157
შენ გახსოვს ყრმობა კაცობრიობის.....	158
ჩიმუსა და ჩავინის.....	159
ადამის ტომთა შთამომავალი.....	160
*** (მწამს).....	161
*** (ვარსკვლავების გზებით მავალს).....	162
*** (ჩვენში).....	163
*** (შეხსენ კარები პრეიისტორიის).....	164
*** (ეპა).....	165
*** (ეპა).....	166
*** (სატანას და იქედნებ).....	167
სახალისო ბიბლია .....	168
ეგრისის მთის ეს მწვერვალი .....	169
*** (შორიდან მოსული) .....	170
ჰორი რა და ჰარი რა.....	171
დაბრუნება.....	172
*** (რადგან ცეცხლი მოჰპარა) .....	173
*** (არ გელევა დღე სადაგი) .....	174
*** (შენ).....	175
სამება.....	176
იქმენ ნათელი!	177

ამ სამყაროს ქმნიდა ქრისტე.....	178
*** (მოსვლის დღიდან გამჩენმა).....	179
*** (საიდანდაც ხმა ისმის).....	180
*** (შენი პოეზია).....	181
ენქიდუ და გილგამეში.....	182
*** (მოღალატე და ორგული).....	183
ორი გიორგი.....	184
კარაბადინი .....	185
*** (მეხით გადახნულ დამის მინდორზე) .	186
*** (პოეზიის ზღვა ბობოქრობს).....	187
*** (ადარ ყივიან დილას მთიები) .....	188
*** (იგი ჯუჯაა თავზარდამცემი).....	189
*** (ეს იყო მაშინ).....	190
ბუნება.....	191
*** (როდესაც კუბოს მიწას აყრიან).....	192
თმოგვის ციხე.....	193
*** (იმდვრევა სივრცე).....	194
ზღვაა შენი ედემ-ბაღი.....	195
გილგამეში, ჰერეკლე და ჰერკულესი.....	196
*** (დედამიწის პირველ მხილველთ) .....	197
ქართველებო.....	198
ბაბილონის გოდოლი .....	199
*** (სადღაც დასალიერში) .....	200

თავს უშველე, გიორგი!	201
ისევ ქალდეველები	202
ტაია	203
ელი ცათა სასუფეველს	204
სპერის ზღვა	205
*** (ასე არის)	206
მამულო	207
*** (ქვეყნად ქრისტეს მოსვლამდე)	208
*** (ვითარცა დავით ფსალმუნთ- მეტყველი)	209
ჰომასა და ჰამოას	210
*** (მოულოდნელად)	211
*** (რადგან წუთისოფელი)	212
არმაზსა და ბაგინეთს	213
ხილვა: ქრისტე ბეთანიაში	214
ობოლა, კედელა, მედეგა	215
ერიდუ და ური	216
1992 – 2008 (რუსეთ საქართველოს ომი)	217
*** (დიოდა უამი ბრძოლით და)	218
*** (არწივების ფრთებით დამფრთხალ)	219
*** (ისევ ბნელა!!!)	220
მკვდარი საუკუნენი	221

უოველივე ამაობ	222
ქართული მაჭარა	223
ნატვრა	224
*** (მტერი)	225
ბაღში ჰეპსერიდების	226
გიხმობს კრეტა	227
*** (ცის მოყვავილე წალკოტში)	228
გაზაფხული	229
*** (მთიდან უცხო რამ ხმა ისმის)	230
ორმოცი	231
სცილა და ქარიბდა	232
ქალდეველები	233
ვითა მარტინ ლუთერი	234
*** (წარმართ „მეფეთა სიას“)	235
(ა-ნი), (პ-ოე) (ი-ოტა)	236
*** (სიცოცხლეს და სიხალისეს)	237
შენი ლექსი	238
გალილეა, იუდეა, სამარია	239
კოლხეთი	240
*** (ათასწლეულების მერე)	241
მზის გონი	242
*** (სიყვარულის ცის ურმიდან)	243
სხვა ზარი	244

ფრთები.....	245
ვითა იტყოდა ნოსტრადამუსი .....	246
ელისე და ელია.....	247
სიცოცხლე .....	248
*** (ვით მარკუს ავრელიუსმა).....	249
*** (დაცემის პი არა).....	250
ენა.....	251
ვაჟავ! – ძევ პელიოსის .....	252
სიყვარული.....	253
მიგელ დე სერვანტეს საავედრა .....	254
გიგანტების მხრებზე იდექ .....	255

2. December 18



2020.6.

ვაჟა ებრისელი

## გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ  
ტომი 13

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 13

- |                     |                             |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის       |                             |
| რედაქტორი           | — პაათა ღოლგაია             |
| მხატვარი            | — სპარტაკ ციცაძემ           |
| მხატვრული რედაქტორი | — ირაკლი უშვერიძე           |
| ტექნიკური რედაქტორი | — ნანა ღუმბაძე              |
| კორექტორი           | — ნათა ღოლგაია              |
| კომპიუტერული        |                             |
| უზრუნველყოფა        | — ნანა და დათო ყანეაშვილები |
| გამომცემელი         | — ვაჟა ღოლგაია              |
| ფასი 20 ლარი        |                             |

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com